პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 179 (9339)

ოთხშაბათი 30 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოში (1-ლი გვერდი).
პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საბჭოთა ხალხის შთამაგონებელი მაგალითი—პრავდის 29-VII მოწინავე (მე-2 გვერდი).
პარტიულ თემაზე. გ. ლოლობერიძე — ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. „ტყვარჩელუგოლ" მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — სოციალისტური შეჯიბრების დროშით (მე-3 გვერდი).
გ. მელაძე — მილიარდერების კანდიდატი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები (მე-3 და მე-4 გვერდი).

## პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

მოსავლის აღების ფრონტი ჩვენს რესპუბლიკაში ყოველდღიურად ფართოვდება. სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები თავიანთ ენერგიას არ იშურებენ პურის სწრაფად, უდანაკარგოდ აღებისათვის. რუისის მტს-ის წარჩინებული კომბაინერის იოსებ ტიტვინიძის შესანიშნავი გამოცდილების გამოყენებით მრავალი კომბაინერი დაწინაურდა უხვი მოსავლის აღებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გორელი კომბაინერი ვ. მანძულაშვილი და ახმეტელი კომბაინერი ს. რამაზაშვილი დღეში 25 ჰექტარზე უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ფართოდ გაავრცელონ მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილება, უზრუნველყონ მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, კოლმეურნეობათა შრომის რესურსების მაქსიმალური გამოყენება და მიაღწიონ პურეულის დანაკარგის მთლიანად აღკვეთას.

მკისა და გალეწვის დაჩქარებით უნდა შეიქმნას აუცილებელი პირობა პურის დამზადების ფართოდ გაჩაღებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. პური ჩვენი დიადი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების მნიშვნელოვანი წყაროა. ამიტომ მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი მარცვალი, სწორად მოვაწყოთ მოსავლის აღრიცხვა და დავიცვათ იგი დატაცებისაგან.

პურის დამზადების გეგმის შესრულება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა. დიდი სტალინი გვასწავლის: «...ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნება პურის დამზადების გეგმის შესრულება...»

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დარაზმონ მასები სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის. საქმე ის არის, რომ სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის სწორად შეხამებით, მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით პურეულის უდანაკარგოდ აღებასთან ერთად უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა მიერ პირველი მცნების შესრულება. სადაც პურის დამზადებას პარტიული ორგანიზაციები ორგანიზებულად ჩაუდგნენ სათავეში, გააჩაღეს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, იქ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს პურის დამზადების ფრონტზე. გარეუბნის და გარდაბნის რაიონებმა უკვე შეასრულეს 1952 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. დღითიდღე ძლიერდება პურის დამზადების ტემპი წითელწყაროს, მარნეულისა და სხვა რაიონებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. ყვარლის, ლაგოდეხის, გორის, თელავის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჭიანურდება მკა, ლეწვა, რაც აფერხებს პურის დროულად ჩაბარების საქმეს. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობათა კალოებზე მარცვალი გროვდება და არ იღებენ ზომებს მის დაჩქარებით გადასაზიდავად მიმღებ პუნქტებში. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგან კალოებზე არ არის მოწყობილი მარცვლის შეუფერხებელი გაწმენდა, დახარისხება და გახმობა, არც პურის დროულად გადაზიდვა.

საჭიროა ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება. კოლმეურნეობათა კალოებზე ფართოდ უნდა განხორციელდეს მარცვლის გაწმენდის მექანიზაცია, მექანიკური აგრეგატების სრული დატვირთვით გამოყენება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის მოქნილ მუშაობას, ავტომანქანების და სხვა გადასაზიდ საშუალებათა კარგად გამოყენებას, პურის გადაზიდვის გრაფიკის მტკიცედ დაცვას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კალოებზე არ დაგროვდეს ბევრი მარცვალი, არამედ გაწმენდილი მარცვალი სწრაფად იგზავნებოდეს სახელმწიფო და საკოლმეურნეო ბეღლებში.

მარცვლის გალეწვაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი. ამიტომ არ შეიძლება შევიწყნაროთ ჩამორჩენა ამ საქმეში. მომკილი პურის სწრაფად დაზვინვა, სალეწი მანქანების შეუფერხებელი მუშაობის მოწყობა კოლმეურნეობების, მტს-ების მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკებს. სამწუხაროდ, დამამზადებელ ქსელში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი პურის მიღების საქმეში. მაგალითად, მცხეთის რაიონში პურის მკა მასობრივად არის გაჩაღებული, ქსანში «ზაგოტზერნოს» მიმღები პუნქტის საწყობის მშენებლობა კი ჭიანურდება. ასეთი მდგომარეობის დაშვება შეუძლებელია. დამამზადებელი ქსელის მუშაკებს ყველა პირობა აქვთ გამოასწორონ ნაკლოვანებანი და საუკეთესოდ მოაწყონ თავიანთი მუშაობა.

პურის დამზადების წარმატება დამოკიდებულია კოლმეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეზე და გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორად განაწილებაზე. ადგილებიდან მოდის სიგნალები, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მინდვრად, მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში, მასობრივ-სააგიტაციო მუშაობას. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, კომბაინების აგრეგატებზე, კალოებსა და მიმღებ პუნქტებში, სადაც საბოლოოდ წყდება უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების ბედი.

კოლმეურნეებო და სოფლის მეურნეობის მექანიზატორებო, სპეციალისტებო! დადგა გადამწყვეტი პერიოდი მოსავლის აღების, გალეწვისა და პურის დამზადების საქმეში. ძვირფასია თვითეული საათიც კი, უნარიანად გამოიყენეთ დროის ფაქტორი, საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობანი, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გვიჩვენეთ ოპერატიული, ბეჯითი შრომის ახალი ნიმუშები, ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების გეგმის სანიმუშოდ შესრულებისათვის!

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ოპერატიულად უხელმძღვანელონ ჩვენს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, მექანიზატორებს მოსავლის ასაღებ სამუშაოთა ჯეროვნად მოწყობაში. საქართველოს სოფლის მშრომელებმა უახლოეს დროში უნდა მოიპოვონ საპატიო უფლება უპატაკონ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

# საბჭოთა საქართველოში

### პურეულის მოსავლის აღება

25 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა 141.245 ჰექტარზე აიღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი.

თბილისის ოლქში გეგმა შესრულებულია 39,6 პროცენტით (აღებულია 133.784 ჰექტარი), ქუთაისის ოლქში— 28,5, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 51,2, აჭარის ასს რესპუბლიკაში—18,3, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1,3 პროცენტით.

### თამბაქოს შეტეხვა

საქართველოს კოლმეურნეობებში 25 ივლისისათვის შეტეხილია 9.409.915 ზონარმეტრი თამბაქო, აქედან თბილისის ოლქში — 3.607.062 ზონარმეტრი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 5.413.100, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 389.753 ზონარმეტრი.

### მაჩხაანელი მეცხვარეები

**წითელწყარო.** (საკ. კორ.). სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ ვითარდება მეცხვარეობა. მარტო წელს 14.707 ბატკანი გაზარდეს, სულ კი 43.560 ცხვარი ჰყავთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32.000 სულისა.

ბრიგადირები ილია და ივანე ჯანაშვილები, დავით ბოსტოლანაშვილი, ანტონ რობიტაშვილი საუკეთესოდ უვლიან ცხვარს საზაფხულო იალაღებზე.

ფერმის მუშაკებმა მატყლის პარსვის ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მწყემსები: ლ. ბენაშვილი, ლ. ჯამასპიშვილი, დ. ჯანაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი და ი. ჯანაშვილი. მაჩხაანელმა მეცხვარეებმა წელს 30 ტონაზე მეტი ყველი დაამზადეს.

### ახალი სკულპტურული კომპოზიცია წყალტუბოში

**წყალტუბო.** („კომუნისტის" კორ.). ამას წინათ კურორტ წყალტუბოს პარკში აღმართეს შესანიშნავი სკულპტურული კომპოზიცია—„ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში".

ეს სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც შესრულებულია მოქანდაკეების ვ. პინჩუკისა და რ. ტაურიტის მიერ, წარმოდგენილია ახალი სიუჟეტური ფორმით.

ახალი სკულპტურული კომპოზიცია 4 მეტრი სიმაღლისაა. კვარცხლბეკი მოპირკეთებულია გრანიტითა და მარმარილოთი.

### გორელ მეკონსერვეთა წარმატება

**გორი.** (საკ. კორ.). ახალი სეზონის დაწყებისთანავე გორელმა მეკონსერვეებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. საამქროები, ცვლები და ბრიგადები სულ უფრო აუმჯობესებენ ნაწარმის ხარისხს, ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

მეორე კვარტალის საწარმოო დავალება ქარხნის კოლექტივმა 101 პროცენტით შეასრულა. გეგმა შესრულებულია ასორტიმენტის მიხედვით. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 42,4 პროცენტით, ხოლო გეგმასთან შედარებით თვითღირებულება შემცირებულია 2,7 პროცენტით.

### ტექნიკური სიახლე

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტში შეუდგნენ ძირითადი სამთო გამონამუშევრების გამაგრებას ლითონის კონსტრუქციით. დღემდე წარმოებული ცდები კარგ შედეგებს იძლევა. ლითონის კონსტრუქციით გამაგრებამ უფრო უსაშიშრო გახადა მეშახტის შრომა, გარდა ამისა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეამცირა ხე-ტყის მასალის ხარჯვა.

წელს ლითონის კონსტრუქციით გამაგრებაზე გადავლენ აგრეთვე სტალინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტები.

### რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ორთვიური

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის მრეწველობაში პირველი ივლისიდან მოეწყო რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დათვალიერების ორთვიური. მარგანეცის ტრესტში დათვალიერებისათვის შეიქმნა ცენტრალური კომისია, ამავე მიზნით კომისიები შეიქმნა ცალკეულ საწარმოებსა და უბნებში.

ორთვიურმა უნდა გამოავლინოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალი შემოქმედებითი ძალები და უზრუნველყოს პირველხარისხოვანი მარგანეცის დამზადების მკვეთრი გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირება.

### კალაჩში აღმართულია ნავიგაციის ალამი

**დონის კალაჩი,** 27 ივლისი. (საკდესი). დონის კალაჩის მშრომელები აღნიშნავენ ისტორიულ დღეს — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნას. სადღესასწაულოდ მორთულ ნავსადგურში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

13 საათზე მოსკოვის დროით კალაჩის ნავსადგურში აღმართულ იქნა ნავიგაციის ალამი.

### სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) პირველი ტირაჟი

**ვორონეჟი,** 27 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) პირველი ტირაჟი.

სესხის 342 თანრიგზე გათამაშებულ იქნა 794.055.600 მანეთის 3.112.200 მოგება.

### დიდი ნავიგაცია ვოლგა-დონზე

**დონის კალაჩი,** 28 ივლისი. (საკდესი). დღეს დილით კალაჩის ნავსადგურში მოვიდა თბომავალი „იოსებ სტალინი". ფლაგმანის ეკიპაჟსა და სტუმრებს, რომლებიც გემით მოვიდნენ, სიხარულით შეხვდნენ ვოლგა-დონის მშენებლები, ახლომახლო ხუტორების კოლმეურნეები. ნავსადგურში გემები ხანგრძლივი საყვირით მიესალმნენ ხომალდს, რომელმაც აქ დაამთავრა თავისი შესანიშნავი რეისი.

ნავსადგურში შემოვიდნენ აგრეთვე ვოლგის სამგზავრო თბომავლები „სტალინსკაია კონსტიტუცია", რომელიც ამთავრებს თავის პირველ რეისს სამგზავრო ხაზით მოსკოვი-როსტოვი, „მარქსისტი", რომელმაც დაიწყო რეგულარული მიმოსვლა სტალინგრადსა და როსტოვს შუა. მოვიდა აგრეთვე თბომავალი „ნეკრასოვი", რომელიც გუშინ გამოვიდა ციმლიანსკის ნავსადგურიდან.

სამგზავრო ნავმისადგომზე სადღესასწაულო გამოცოცხლებაა. ხალხი აღტაცებით ათვალიერებს თეთრ, ლამაზად მორთულ გემებს. დღეს აქედან ექსკურსანტთა ჯგუფი მიდის არხით და ციმლიანსკის ზღვით სამოგზაუროდ.

### პირველი მიწისმწოვი მანქანა გაიგზავნა ტახია-ტაშში

**ჩარჯოუ,** 28 ივლისი. (საკდესი). ტახია-ტაშში გაიგზავნა პირველი მიწისმწოვი მანქანა № 303, რომლის მონტაჟი ვადამდე დამთავრდა. მიწისმწოვი ჩარჯოუში მოვიდა ვოლგა-დონიდან, სადაც ციმლიანსკის კაშხალის ამოვსებაზე მუშაობდა.

გაგზავნის წინ გაიმართა მიტინგი. ქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ ეკიპაჟს. მიწისმწოვი მანქანის უფროსმა ამხ. კრასნიცკიმ განაცხადა, რომ ეკიპაჟი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე ისევე მაღალნაყოფიერად იმუშავებს, როგორც ვოლგა-დონზე მუშაობდა.



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის № 13 რაბის ზემო სათავის სამართავი კოშკები (კარპოვკის წყალსაცავის მხრიდან).

ფოტო ს. კროპივნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება

28 ივლისს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. ა. მგელაძე და ვ. მელქაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ბალავაძე, სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა პარტიული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ დოცენტმა ი. ლალაშვილმა. მოხსენება გააკეთა სკოლის დირექტორმა დოცენტმა ს. ლარცულიანმა.

პარტიული სკოლა წელს დაამთავრა 141 ამხანაგმა. აქედან 28 მსმენელმა სახელმწიფო გამოცდებზე ყველა საგანში მიიღო ფრიადი შეფასება. კარგი და ფრიადი შეფასებით სკოლა დაამთავრა 58 კაცმა. ფრიადოსანთა შორის არიან ბ. ახვლედიანი, ა. დანელია, თ. ხომასურიძე, ა. დოლიძე, ა. მოსიძე, გ. ფირანიშვილი, ნ. ჭონქაძე, შ. გურაბანიძე, ი. ხუციშვილი, ი. გასიევი, ს. მატოიანი, ა. მჟავანაძე, დ. ქათამაძე და სხვები.

სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კურსდამთავრებულებს მიესალმა დოცენტი ნ. მახარაძე, პირველი კურსის მსმენელთა სახელით — სწავლის ფრიადოსანი ნ. ნიკოლეიშვილი, სიტყვებით გამოვიდნენ კურსდამთავრებულები ლ. ისაკაძე, შ. შაველაშვილი, ს. მატოიანი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მელქაძემ. მან ილაპარაკა კურსდამთავრებულთა წინაშე მდგომ ამოცანებზე და უსურვა მათ წარმატება მომავალ პრაქტიკულ მუშაობაში.

## სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმების შესრულება

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა 18 ივლისისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

* * *

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ივლისისათვის 107,1 პროცენტით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

მატყლის ჩაბარება გრძელდება.

* * *

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ივლისისათვის 137 პროცენტით შეასრულეს მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

### ჩინელი მშენებლები იყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს

**პეკინი.** (საკდესი). გაზეთი „გუნჟენჟიბაო" იუწყება, რომ ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის მშენებლებს შორის ფართოდ ინერგება მოწინავე გამოცდილება. მშენებლებმა, რომლებიც მოწინავე მეთოდებს იყენებენ, საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

ხებეის პროვინციის ფინფინის მალაროებში მშენებლებმა გამოიყენეს სუ ჩან-იუს მიერ შემუშავებული მეთოდი აგურის წყობისა და თვითეული მათგანი 750 ცალი აგურის ნაცვლად ცვლაში 5.746 აგურს აწყობს. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ფუსინის მალაროებში მშენებლებმა შრომის ნაყოფიერება ერთიორად-ერთისამად გაადიდეს.

მშენებლები ფართო ინიციატივას იჩენენ წარმოების რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების საქმეში. კალატოზმა ჯან ხიმ გააკეთა ნახევრად ავტომატური აპარატი, რომელმაც 27-ჯერ გაადიდა შრომის ნაყოფიერება შელესვის სამუშაოებზე. ათასობით მშენებელი მუშა დადის შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელ კურსებზე. საწარმოებში, რომლებიც მძიმე მრეწველობის სამინისტროს ტაიუანის სამშენებლო განყოფილების გამგებლობაშია, მოკლე ხნის განმავლობაში შრომის მოწინავე მეთოდები აითვისა კალატოზთა 23 ბრიგადამ და ხუროების 24 ბრიგადამ. პეკინელ მშენებლებს შორის უკვე 209 ბრიგადა იყენებს მოწინავე გამოცდილებას. შემლესავთა, ხუროთა და მხურავთა შრომის ნაყოფიერება 6—8-ჯერ გადიდდა. პეკინელმა მშენებლებმა 200-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს, რამაც ყველა სახეობის სამშენებლო სამუშაოზე შრომის ნაყოფიერება 2—5-ჯერ გაადიდა.

### ბულგარეთის მშრომელთა შრომითი წარმატებანი

**სოფია.** (საკდესი). 9 სექტემბერს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს მამაცი საბჭოთა არმიის მიერ მონარქისტულ-ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლების მე-8 წლისთავს. ახლა ყველა ქალაქსა და სოფელში აქტიურად ემზადებიან ამ წლისთავის დღესასწაულისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში, შრომითს კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობებში, ახალმშენებლობებზე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სადღესასწაულო სოციალისტური შეჯიბრება. მარიცის ქვანახშირის აუზის მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ დიადი დღესასწაული. ბევრი მათგანი ყოველდღე გადამეტებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ წარმოების მოწინავეები. სტახანოველმა რაიჩო დიმიტროვმა სრულყოფილად აითვისა საბჭოთა ქვანახშირის კომბაინ „დონბასით" მუშაობის პროცესი და სისტემატურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს. 150-180 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებას დამკვრელი ტოდორ დიულგეროვი.

სადღესასწაულო შეჯიბრების დღეებში კოლაროვგრადის პანაიტ ვოლოვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა ვადაზე 16 თვით ადრე დაამთავრა ხუთწლიანი გეგმის შესრულება. დიდი საწარმოო გამარჯვებებით აპირებენ ბულგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის აღნიშვნას სოფიის, სტალინის, პლოვდივის, პლევენის, სლივენისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხალხის შთამაგონებელი მაგალითი

## „პრავდის“ 29/VII მოწინავე

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნამ მრავალი გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. პროგრესულ კაცობრიობას საბჭოთა ხალხის ეს გამარჯვება მიაჩნია უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის გამარჯვებად, შესანიშნავ წვლილად მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

მსოფლიოს ყველა ნაწილის ასეულ მილიონობით ადამიანი შეჰყურებს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, რომელიც მშვიდობისმოყვარე ხალხთა ავანგარდშია. ეს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულს ავსებს კანონიერი პატრიოტული სიამაყის გრძნობით.

„ვოლგა-დონის არხის მშენებლობის დამთავრება, — წერს ჩინური გაზეთი „დაგუნბაო“, — წარმოადგენს საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებას და კაპიტალისტური წყობილების წინაშე საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობის ახალ დამამტკიცებელ საბუთს. მარტო სოციალისტურ სახელმწიფოში და ისეთი ბრძენი ბელადის ხელმძღვანელობით, როგორიც არის დიდი სტალინი, შესაძლებელია გიგანტურ მშენებლობათა სწრაფი განხორციელება. საბჭოთა ხალხის ეს გამარჯვება მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვებაა, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის გამარჯვებაა“.

ვოლგა-დონის არხის აგება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი მკაფიო გამოხატულებაა, პოლიტიკისა, რომლის მიზანია ომის თავიდან აცილება და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფა. უნგრული გაზეთი „საბად ნეპი“ აცხადებს: „ხალხები ხედავენ, რომ გაავთრებული იმპერიალისტების წინააღმდეგ მშვიდობასა და კაცობრიობის მომავალს მოეპოვება ისეთი ურყევი დასაყრდენი და დამცველი, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, რომელმაც, ააგო რა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი — ეს უდიდესი ნაგებობა, რომლის ბადალი არ არის მთელ მსოფლიოში, ახალი დაბრკოლება შექმნა ომის გზაზე“.

მშვიდობიანი შრომის ფრონტზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებანი ამხილებენ იმპერიალისტთა სიცრუეს იმის შესახებ, თითქოს მათ უხდებათ შეიარაღება საბჭოთა კავშირის მხრივ სამხედრო თავდასხმის საფრთხის გამო. მსოფლიოს ხალხები მთავრობათა პოლიტიკაზე მსჯელობენ არა მათი სიტყვების, არამედ მათი საქმეების მიხედვით. თვითეული პატიოსანი ადამიანისათვის ფაქტები მეტს მეტყველებენ, ვიდრე მოსყიდული ბურჟუაზიული პრესის მონაჭორი. საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის თვალსაჩინო წარმატებანი ახარებენ ყველა პატიოსან ადამიანს, ამრავლებენ ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა ძალებს. კაპიტალის ქვეყნებში გამალებული შეიარაღება, მათი ეკონომიკის გადაყვანა სამხედრო რელსებზე მოწმობს იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიულ პოლიტიკას.

„სტალინური მშვიდობიანი მშენებლობის შესანიშნავი ნიმუშები, — წერს პოლონური გაზეთი „გლოს პრაცი“, — შეიარაღების სიმძიმის ქვეშ მგმინავი კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრიობისათვის წარმოადგენენ კონკრეტულ რეალურ არგუმენტს ომისა და გაჭირვების პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში მყოფი მათი ბურჟუაზიული მთავრობები“.

მოწინავე სტატიაში ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავდა: „ვინ შეიძლება დაეჭვდეს იმ ხალხის მისწრაფებაში მშვიდობისადმი, რომელიც ასეთი მშენებლობებით ქმნის თავის მომავალს? ვინ შეიძლება დაეჭვდეს, რომ ეს ხალხი და მისი მთავრობა არათუ არ ამზადებენ ომს, არამედ ცხოვრობენ და მუშაობენ იმ რწმენით, რომ მშვიდობა შეიძლება გადარჩენილ იქნას? საბჭოთა კავშირი რომ აგრესიულ ომს ამზადებდეს, იგი თავისი რესურსებისა და თავისი ენერგიის უდიდეს ნაწილს ვერ მოახმარდა ასეთ სამუშაოებს... ეს ნაგებობა მოწმობს იმის მტკიცე რწმენას, რომ შესაძლებელია მშვიდობისა და კაცობრიობის მომავლის გადარჩენა“.

საბჭოთა ხალხის შრომითი საგმირო საქმეები, მისი თვალსაჩინო წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, მისი თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა აღაფრთოვანებს მშვიდობის ყველა მომხრეს ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საბრძოლველად. კორეული გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ მოწინავე სტატიაში კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ აღნიშნავს, რომ „პატრიოტიზმი, მამაცობა, თავდადება, რასაც საბჭოთა ადამიანები იჩენენ, შთამაგონებელი მაგალითია კორეელი ხალხისათვის, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის“.

მშვიდობიანი შრომის ფრონტზე საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ დიდ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისათვის. კომუნიზმის პირველი მშენებლობის წარმატებით დამთავრება მათ მიაჩნიათ ახალი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის შესანიშნავ ნიმუშად. თავისუფალი ხალხები ფართოდ აჩაღებენ ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების, შახტებისა და ელექტროსადგურების, რკინიგზებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას. ვოლგა-დონის მშენებელთა გამოცდილებას გულდასმით სწავლობენ და ნაყოფიერად იყენებენ სოციალიზმის მშენებლობებზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ბულგარულ გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“ გამოქვეყნებულია წერილი ბალკანეთის რკინიგზის მშენებლობიდან. წერილში ნათქვამია: „ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სახელოვან მშენებელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მაგალითით ისწავლიან მსოფლიოს ყველა პროგრესული ქვეყნის მუშები, ტექნიკოსები, მეცნიერები. სამშობლოს გარდაქმნის მუშაობაში, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში ყველაზე სახარგებლო იქნება ის, ვინც საუკეთესოდ შეისწავლის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებელთა გამოცდილებას და გამოიყენებს ამ გამოცდილებას თავის ყოველდღიურ მუშაობაში. ჩვენ, ბულგარეთში სოციალიზმის ერთ-ერთი დიადი მშენებლობის — ბალკანეთის რკინიგზის მშენებლები მხურვალედ მივესალმებით გმირ საბჭოთა ადამიანებს, ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებს, და პირობას ვიძლევით სისტემატურად შევისწავლოთ მათი შესანიშნავი გამოცდილება, დაუცხრომლად გამოვიყენოთ იგი ჩვენს მშვიდობიან შრომაში“.

ვოლგა-დონის მშენებელთა გამარჯვება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს განუმტკიცებს მათი საქმის წარმატების რწმენას, რაზმავს მათ სიძნელეთა გადასალახავად, აღაფრთოვანებს მშვიდობისა და შემოქმედებისათვის ახალი გმირობისათვის. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშები, გლეხები, ინტელიგენცია უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს.

დუნაი—შავი ზღვის არხის (რუმინეთი) მშენებლები ვოლგა-დონის არხის მშენებლებისადმი თავიანთ მისასალმებელ დეპეშაში აცხადებენ, რომ საბჭოთა ადამიანების მაგალითისამებრ, მათი მოწინავე გამოცდილების გამოყენებით, ისინი კისრულობენ ვალდებულებას გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და ვადამდე ააგონ არხი.

„საბჭოთა ხალხი მაგალითია ჩვენთვის სოციალიზმის აშენებაში, — წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი „ტრიბუნე“.— ბუნების გარდაქმნისათვის სამი წლის დაუცხრომელი მშვიდობიანი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ადამიანებმა გუშინ იდღესასწაულეს სოციალისტური შრომის, სოციალისტური მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის იდეების გრანდიოზული გამარჯვება. კომუნიზმის დიად მშენებლობათაგან პირველი მშენებლობა — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი საექსპლოატაციოდ გადაეცა“.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშოს ამუშავება დამაჯერებელი დემონსტრაციაა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობისა დრომოჭმული კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

„ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგება, — აღნიშნავს მოწინავე სტატიაში ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“, — საბჭოთა ხალხის ახალი დიდი გამარჯვებაა. ამ გიგანტური ჰიდროტექნიკური ნაგებობით საბჭოთა ხალხმა კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს, თუ რა კოლოსალური უპირატესობა აქვს საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას... მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთან ერთად, რომლებსაც ახარებს სსრ კავშირის ახალი გამარჯვება, დღეს მთელი ჩვენი ხალხი მიესალმება უგზავნის კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს და მის დიდ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს“.

საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი მშენებლობის გიგანტური გაქანება მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს საბჭოთა სოციალისტური წყობილების უძლეველ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა ეკონომიკის განუხრელ აღმავლობას და კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას.

საბჭოთა ხალხის სახელოვანი გამარჯვება — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნა — მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებს უნერგავს უკეთესი მომავლის იმედს, აღაფრთოვანებს მათ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

## კანჯოებით ლაშქრობა ვოლგა-დონზე

**დონის კალაჩი**, 28 ივლისი. (საქტესი). დონის სათავიდან ივან-ოზეროდან კალაჩამდე კანჯოებით გაიარა მოსკოვის ოლქის სტალინოგორსკის სამთო ტექნიკუმის სტუდენტთა ჯგუფმა. ლაშქრობის მონაწილეებმა 20 დღე-ღამეში გაიარეს 1.380 კილომეტრი.

დღეს კალაჩში ვორონეჟიდან მოვიდა კანჯო, რომელშიც ისხდნენ ვორონეჟის რადიოდეტალების ქარხნის სპორტსმენები. მათ რვა დღე-ღამეში გაიარეს მანძილი ვორონეჟიდან დონის კალაჩამდე, რაც 900 კილომეტრს აღემატება. სპორტსმენები ნახავენ ციმლიანსკის ზღვას, არხის ყველა რაბს და სტალინგრადს, შემდეგ კანჯოთი დაბრუნდებიან ვორონეჟს. უკან დაბრუნებულნი დონისპირა სოფლების და სტანიცების მცხოვრებთ უამბობენ, თუ რა ნახეს ვოლგა-დონზე.

## ახალი ტექნიკა ქუთაისის მანქანათმშენებელ ქარხანაში

ქუთაისის მანქანათმშენებელ ქარხანა „მაღაროელის“ საამქროებში ფართოდ ნერგავენ ახალ ტექნიკას. უკანასკნელ ხანს საწარმოში ამუშავდა მრავალი ახალი აგრეგატი, რომლებიც აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას. სამჭედლო საამქროში ამუშავებულ იქნა მანქანა „ც-35“, რომელიც დეტალების თერმიულ დამუშავებას 4-ჯერ და მეტად აჩქარებს, ხოლო დეტალების წრთობის დრო 9-დან 4 საათამდე დაჰყავს.

სამსხმელო საამქროში მუშაობს ფოლადის მდნობი კონვერტორი. მიღწეულია დეტალების ჩამოსხმის სრული მექანიზაცია.

წარჩინებულმა სტახანოველმა კ. შევჩენკომ საჰაერო-საბაგირო გზის ვაგონის ერთ-ერთი დეტალის დამაგრება ჭანჭიკის ნაცვლად ელექტროშედუღების წესით მოაწყო, რამაც საამქროს საშუალება მისცა წლიურად 3.173 მანეთის ეკონომია გაეწიოს. საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორები არიან მჭედლები ი. ველიჩკო, გ. კლიაჩინი, ი. ჯიქია, უფროსი ოსტატი ვარიატი და სხვები.

ლითონის მომჭირნეობით ხარჯვაში დიდი წვლილი შეაქვს კონსტრუქტორ ნ. კვიცარიძეს. მან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განახორციელა საშახტო ტრანსპორტიორის კონსტრუქციაში, რითაც თვითეულ მანქანაზე 474 კილოგრამი ლითონი იზოგება. ახალგაზრდა ტექნოლოგმა, კომკავშირელმა ნ. კაიანმა ტრანსპორტიორის გორგოლაჭის ღერძის დიამეტრის შემცირებით შეძლო ყოველი მანქანის დამზადების დროს 143 კილოგრამი ლითონის დაზოგვა.

**მ. კაკიტელაშვილი.**

## შეწყობილი მუშაობა

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ფოლადის მაგისტრალის მუშაკები ენერგიულად ემზადებიან რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად. მეშახტეთა ქალაქიდან — ტყიბულიდან ყოველდღიურად მძიმე წონის ეშელონებს მიაქროლებენ მოწინავე მემანქანეები ო. მელაძე, ა. ტყაბლაძე, ს. ზუმბაძე, ქ. რიჟამაძე და სხვები. მოძრაობის მუშაკები, მევაგონეები და ლიანდაგის შემომვლელები შეწყობილი მუშაობით სისტემატურად ზრდიან ტვირთის გადაზიდვის ტექნიკურ მაჩვენებლებს, ამცირებენ სარკინიგზო ვაგონების მოცდენის დაწესებულ ნორმებს.

რკინიგზის ქუთაის-ტყიბულის ხაზზე სახელითა და პატივით სარგებლობს შ. აშოთიას სტახანოვური ცვლა. საუკეთესოდ მუშაობენ ამ ცვლის მოწინავე ადამიანები — შემდგენელი გ. ცირეკიძე, გადამბმელი დ. ერაძე, მეისრე გ. ქათამაძე.

პრესის მიმოხილვა

# „ტყვარჩელის მაღაროელი“ მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის ცნობილი ტყვარჩელელ მეშახტეთა შრომითი მიღწევები. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა სათბობის მოპოვების ნახევარი წლის გეგმა ვადაზე შეასრულა. ქვანახშირის ამოღება გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 16,5 პროცენტით.

ტყვარჩელელ მეშახტეებს ამ წარმატებათა მოპოვებაში აქტიურად ეხმარება გაზეთი **„ტყვარჩელის მაღაროელი“**. იგი ფართოდ აშუქებს მეშახტეთა საინტერესო და შემოქმედებითს ცხოვრებას. გაზეთის ფურცლებზე მკითხველი ეცნობა ტყვარჩელელთა მიღწევებს, მეტი ქვანახშირისათვის მებრძოლ ადამიანებს, მოწინავე მეშახტეებს. ამასთან ერთად გაზეთი ამხილებს შახტებისა და უბნების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. იგი მეშახტეთა ყურადღებას ამახვილებს მთავარ, სერიოზულ და გადაუდებელ საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მოწინავე გამოცდილების გავრცელება, მეშახტის დღის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

„ტყვარჩელის მაღაროელის“ ფურცლებზე მოწინავე მეშახტეები მკითხველებს მოუთხრობენ შრომის ნოვატორულ მეთოდებზე, იმაზე, თუ როგორ და რა გზით მოიპოვეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლები. საინტერესოა ქვანახშირის ამოღების მოწინავე ოსტატის ნ. მაისურაძის წერილი „ჩქაროსნული მეთოდით“. ამხ. ნ. მაისურაძე თავის წერილში კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებს, თუ როგორ მიაღწია შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი ა. ჭანკვეტაძე კორესპონდენციაში „ვიბრძვით მეტი ქვანახშირისათვის“ წერს:

„...მე, როგორც ბრიგადირი, მთავარ ყურადღებას ვაქცევ შრომის სწორ ორგანიზაციას, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული წარმატების მოპოვება. ჩვენი ბრიგადა დაყოფილია ოთხ ჯგუფად. ეს ჯგუფები ასრულებენ როგორც ქვანახშირის მონგრევის, ისე დატვირთვისა და გამაგრების ოპერაციებს. ძალების ასეთი განაწილებით ჩვენ ვაღწევთ სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას“.

გაზეთი სათანადო ყურადღებას აქცევს მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს. მოწინავე სტატიაში „სწორად გამოვიყენოთ ტექნიკა, დავეუფლოთ მას!“ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ის შახტები, სადაც განხორციელებულია შრომის მექანიზაცია, მოწინავეთა რიგებში არიან.

ამავე საკითხზე გაზეთი აქვეყნებს ვრცელ სტატიებს. მაგალითად, გაზეთის 29 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია ვ. ვავილოვის სტატია „ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში“. მეორე წერილში „შრომითი აღმავლობა“ მოთხრობილია იმაზე, თუ ახალი ტექნიკის მთელი სიმძლავრის გამოყენებით როგორ მიაღწია მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს ახიბლარის შახტმა.

„ტყვარჩელის მაღაროელი“ ფართოდ აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს, თითქმის ყოველ ნომერში ათავსებს მასალებს შეჯიბრების მსვლელობისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტყვარჩელის და ტყიბულის მეშახტეების სოციალისტურ შეჯიბრებას. რუბრიკით „სოციალისტური შეჯიბრება ტყვარჩელისა და ტყიბულის მეშახტეებს შორის“ გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს კორესპონდენციებს ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეების შრომითს მიღწევებზე. გაზეთი თავის ფურცლებზე მკაფიოდ ასახავს ტყვარჩელელთა სოციალისტურ შეჯიბრებას დონბასელ მეშახტეებთან. სისტემატურად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობას ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში, ცალკეულ უბნებსა და ცვლებში, ამ საკითხს ხშირად უძღვნის მოწინავე სტატიებს.

გაზეთი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს მეშახტეთა შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს. იგი მკაცრად აკრიტიკებს სტალინის სახელობის შახტის მერვე საექსპლოატაციო უბნის ხელმძღვანელობას, რომელიც ყურადღებას არ აქცევს საშახტო მექანიზმების სწორ ექსპლოატაციას და წესიერ მოვლას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას. კორესპონდენციაში „სერიოზულ საქმეს გვერდს უვლიან“ ნათქვამია, რომ ტყვარჩელის ცენტრალურ ელექტრო-მექანიკურ სახელოსნოებში არ იყენებენ ა. ჟანდაროვას და ო. აგაფონოვას ნოვატორულ მეთოდს. ამის შედეგად აღნიშნული სახელოსნოები ცუდად მუშაობენ.

გაზეთს თავის მუშაობაში ნაკლოვანებებიც აქვს. ძირითადი ნაკლი ის არის, რომ გაზეთში დაბეჭდილი მასალები უფრო ხშირად ინფორმაციული ხასიათისაა. საჭიროა გაზეთმა უფრო ღრმად, უფრო სრულად ასახოს ტყვარჩელელ მეშახტეთა პატრიოტული შრომა. „ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქციისათვის ცნობილია, რომ შახტებში მოსამზადებელი სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, გაზეთს ამ თემაზე არ დაუბეჭდავს თითქმის არც ერთი კრიტიკული კორესპონდენცია, არ შეუსწავლია ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მეტი ნაწილი რედაქციის მუშაკებს ეკუთვნის. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ რედაქციას ჯერ კიდევ სუსტი კავშირი აქვს მკითხველებთან. აუცილებელია გაზეთის ფურცლებზე უფრო ხშირად იბეჭდებოდეს მოწინავე მეშახტეთა კორესპონდენციები.

„ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქციას ყველა შესაძლებლობა აქვს უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს გაზეთის როლი მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

პარტიულ თემაზე

# ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები

**გ. ღოღობერიძე,**

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების ჩამოყალიბებამ, ქალაქ ქუთაისის საოლქო ცენტრად გადაქცევამ ფართო პერსპექტივები შექმნა ამ ქალაქის მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარების, კულტურის მძლავრი აღმავლობისათვის.

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პარტიის საოლქო კომიტეტის შექმნამ, რომელიც თავისი ორგანიზაციის პირველივე დღიდან მტკიცედ ნერგავს პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის სტალინურ სტილს.

მანამდე კი ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებმა და პოლიტიკურმა ჩავარდნამ პირდაპირი გამოხატულება ჰპოვა ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის, კერძოდ პარტიის საქალაქო კომიტეტის იმდროინდელ საქმიანობაში.

ქუთაისის XIV საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ წლებში არ ცხოვრობდა სისხლსავსე ცხოვრებით. პარტიის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნები ამხ. ნარსია, კოპალიანი, კიკაჩეიშვილი არღვევდნენ მასებთან კავშირის ლენინურ-სტალინურ პრინციპს.

საქალაქო კომიტეტის პლენუმებსა და აქტივის კრებებს იწვევდნენ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე. მუშაობაში გამეფებული იყო თვითდამშვიდების ატმოსფერო და პარადული გაწყობილება, პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან. ზოგ შემთხვევაში კიდევაც სდევნიდნენ იმ კომუნისტებს, რომლებიც ამხილებდნენ საქალაქო კომიტეტის ნაკლოვანებებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა, სამეურნეო წარმატებებით გატაცებული, საკმაო ყურადღებას არ აქცევდა პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. იგი სუსტად იბრძოდა საწარმოებში რიტმული მუშაობის დასანერგავად, ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით გეგმების შესასრულებლად.

პარტიული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. საქალაქო კომიტეტს ამ საქმეშიც ჰქონდა სერიოზული შეცდომები. საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივნებმა კადრების შერჩევა და განაწილება მიანდეს მეორეხარისხოვან მუშაკებს. ხშირ შემთხვევაში კადრების შერჩევა ხდებოდა არა ობიექტური პრინციპით, არა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით, არამედ ობივატელურ-მეშჩანური ნიშნით, ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ ზოგიერთ პასუხსაგებ პოსტზე აღმოჩნდნენ პოლიტიკურად უვიცი, უცოდინარი, საეჭვო პირები.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დამკვიდრებული არ იყო ბოლშევიკური მომთხოვნელობა. საქალაქო კომიტეტი გადამწყვეტ ბრძოლას არ ეწეოდა სოციალისტური საკუთრების დასაცავად, სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა და გამნიავებელთა, სპეკულაციის, მექრთამეობის, გამომძალველობისა და სხვა მანკიერი მოვლენების წინააღმდეგ.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სერიოზული შეცდომა და ნაკლი ისიც იყო, რომ იგი სუსტად ხელმძღვანელობდა კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, მტკიცე კონტროლს არ უწევდა კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას.

ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით, სერიოზული ნაბიჯები გადადგა ამ შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ძირითადი ყურადღება მიექცა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას.

XIV საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ოთხჯერ იქნა მოწვეული პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რამდენჯერმე მოეწყო პარტიული აქტივის საქალაქო კრება. ერთ-ერთ პლენუმზე მოსმენილ იქნა საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის ანგარიში. გამოსულმა ამხანაგებმა ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილეს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებანი. პლენუმმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების გაძლიერება, მათთან კავშირის შემდგომი განმტკიცება.

იმის გამო, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციებს, ჩაშლილი იყო კომკავშირული მუშაობა, დაბალი იყო ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს კომკავშირის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხზე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა. ახლა მთავარია პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი სერიოზულ მუშაობას ეწევა საბჭოთა ორგანოებიდან უღირსი ელემენტების გასაძევებლად, დაუნდობლად სჯის ყველას, ვინც შეეცდება უპატიოსნო შრომით ხელი შეუშალოს ჩვენს ყოველდღიურ წინსვლას. საქალაქო კომიტეტმა სამუშაოდან მოხსნა, პარტიის რიგებიდან გარიცხა და პასუხისგებაში მისცა კომბინატორი, „ნავთგასაღების“ ბაზის დირექტორი პ. ნიშნიანიძე, რომელსაც საქალაქო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში მფარველობდა. სპეკულაციისა და სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ სუსტი ბრძოლისათვის სამუშაოდან მოიხსნენ და მკაცრად დაისაჯნენ „ქუთაისვაჭრობის“ დირექტორი ჭ. თედორაძე, „ტექსტილსბიტის“ დირექტორი გ. უგულავა, სასადილოების ტრესტის დირექტორი ვ. დარჩია და სხვ. საქალაქო კომიტეტმა სამუშაოდან მოხსნა, პარტიის რიგებიდან გარიცხა და პასუხისგებაში მისცა მექრთამე და გამომძალველი ა. ელიკაშვილი, სახელმწიფო ქონების მიმთვისებელი ექიმი თ. კახიანი და სხვები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ამ დარგში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი საკმაოდ არ იბრძვის მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის. ზოგიერთი რიგითი კომუნისტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან ზემდგომ ორგანოებს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის საქალაქო კომიტეტს უფრო მეტი მუშაობა მოუხდება, რათა მოკლე დროში აღმოფხვრას დამახინჯებანი და ნაკლოვანებანი.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ხელმძღვანელობს კადრების შერჩევისა და განაწილების სტალინური პრინციპით, რაც გულისხმობს კადრების შერჩევას პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით. საქალაქო კომიტეტმა ამ ბოლო დროს ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურა ახალგაზრდა, უნარიანი კადრები. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ქმედითი დახმარება გავუწიოთ ახალდაწინაურებულ მუშაკებს ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილის დაუფლებაში.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია იბრძვის შესრულების შემოწმების სწორად მოწყობის შესახებ ამხანაგ სტალინის მითითების განხორციელებისათვის. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებები. მაგრამ ქალაქის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში შესრულების შემოწმება მაინც არა დგას სათანადო სიმაღლეზე. საქალაქო კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გადადგა კონკრეტული ნაბიჯი.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა ბოლშევიკური მომთხოვნელობა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ავამაღლოთ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების პასუხისმგებლობა.

საქალაქო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა ერეოდა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ფუნქციებში, რითაც ამ ორგანიზაციებს ავტორიტეტს უცემდა მასებში. ყოველგვარი ზომებია მიღებული ხელმძღვანელობის ამ მანკიერი სტილის შედეგების აღმოსაფხვრელად, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ავტორიტეტის ასამაღლებლად.

გაძლიერდა ბრძოლა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცე კონტროლია დაწესებული კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პოლიტსკოლებსა და წრეებში შემაჯამებელი მეცადინეობის მაღალ თეორიულ დონეზე ჩატარებას. ორგანიზებულად მოეწყო გამოცდები მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. აღიკვეთა ცოდნის შეფასების მავნე პრაქტიკა, როდესაც ნიშანი იწერებოდა არა ცოდნის მიხედვით, არამედ ნაცნობობისა და თანამდებობების მიხედვით. მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა გამოცდები აგრეთვე საღამოს ორწლიან პარტიულ სკოლაში. გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. ლექციები იკითხება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, საერთაშორისო მდგომარეობის, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებზე. თანამიმდევრული ღონისძიებები ხორციელდება საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად. პრაქტიკაში დაინერგა ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებთან თეორიული გასაუბრება. საქალაქო კომიტეტი პასუხს სთხოვს იმათ, ვინც უდარდელობას იჩენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი.

პარტიის საქალაქო კომიტეტს მომავალში ამ მხრივ უფრო სერიოზული ღონისძიებების განხორციელება მოუხდება.

ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა გასწია ქალაქის კეთილმოწყობისათვის. მაგრამ ეს მუშაობა გაცილებით მცირეა იმ ამოცანებთან შედარებით, რაც ქალაქის კეთილმოწყობის დარგშია დასახული. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ქუთაისი რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს და კეთილმოწყობილ ქალაქად უნდა გადაიქცეს.

ის, რაც დღემდე ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გააკეთა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რაც გამოიწვია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა, მხოლოდ საქმის დასაწყისია. ჩვენ დაძაბული მუშაობა მოგველის შეცდომებისა და ნაკლოვანებების ბოლომდე აღმოფხვრისათვის, იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დააყენეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილისა და ივნისის პლენუმებმა.

# დავუჭიროთ მხარი ნოვატორთა ინიციატივას ტექნიკის დაუფლებაში, გავავრცელოთ მათი გამოცდილება

## სოციალისტური შეჯიბრების დროშით

### (როგორ მოაწყეს შეჯიბრება ქარელის რაიონის მექანიზატორთა შორის)

საქართველოს რესპუბლიკაში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მექანიზატორები იმკიან დაძაბული შრომით მოყვანილი პურეულის უხვ მოსავალს. მათ მიზნად აქვთ დასახული პურის ახალი მოსავალი აიღონ რაც შეიძლება მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ. ამ საქმეში წარმატების ბედს წყვეტს შრომის სწორი ორგანიზაცია და მოსავლის აღების სამუშაოებზე მთელი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების სრულად გამოყენება.

ამ უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა: ყველა კოლმეურნე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში პურეულის დროზე და სანიმუშოდ აღებისათვის, მარცვლის დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

ამ მოწოდებას რესპუბლიკაში პირველნი გამოეხმაურნენ თბილისის ოლქის წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებმაც მოსავლის უმოკლეს ვადაში უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და ამავე მიზნით მოწოდებით მიმართეს თბილისის ოლქის მშრომელებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. წითელწყაროელთა წინადადებას მხურვალედ გამოეხმაურნენ და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის პურეულის ყველა ძირითადი რაიონის კოლმეურნეობებმა და მექანიზატორებმა. მოსავლის აღების პირველსავე დღეებში თვალსაჩინო გახდა შეჯიბრების დიადი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში არსებული შინაგანი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ერთიორად ამაღლებას.

როდესაც ქარელის საკოლმეურნეო მინდვრებზე პირველი კომბაინები გავიდნენ, მაშინ ყველა მექანიზატორი ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში. თითეულ მათგანს ნაკისრი ჰქონდა კონკრეტული ვალდებულება და შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავდა რომელიმე კომბაინერი. ამრიგად, თითეულმა კომბაინერმა იცოდა ვის და რაში ეჯიბრებოდა. მაგრამ ეს მაინც ზოგად ხასიათს ატარებდა, რადგან მექანიზატორებს ვალდებულებები ნაკისრი ჰქონდათ ზეპირად, სრულიად გაუფორმებლად. ამ ვალდებულებებში მხოლოდ ნათქვამი იყო — მოსავლის აღების მთელ სეზონში 400-500 ჰექტარზე ავიღებ მოსავალსო. ეს იყო და ეს.

ქარელის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები კარგად ჩაუფიქრდნენ ამ გარემოებას და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძველთაგანვე ცნობილ ასეთ „შპარგალკას" არ შეიძლებოდა უკეთესისათვის ბრძოლის რაიმე სტიმული მიეცა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე შემოქმედი ადამიანისათვის, თუ მას კონკრეტულად არ ეცოდინებოდა რას მიაღწია დღეს, როგორ შეასრულა დავალება, დაწინაურდა თუ ჩამორჩა; თუ მას არ ეცოდინებოდა ვინ ჰყავს „მეტოქე", რომელსაც ყოველდღიურ მუშაობაში უნდა „უფრთხილდეს", რათა მან არ გაუსწროს. როდესაც ყოველივე ეს ეცოდინებოდა, მაშინ შეჯიბრების თითეული მონაწილე მეტად კრიტიკულად მოეკიდებოდა თავის ყოველდღიურ მუშაობას, ბევრს იფიქრებდა მუშაობის გამაუმჯობესებელ ისეთ ღონისძიებაზე, რაც გაზრდიდა მისი შრომის ნაყოფიერებას. ეს კი ხელს შეუწყობდა შეჯიბრების თითეული მონაწილის შემოქმედებითი ინიციატივის ნამდვილად გამოვლინებას.

რაიონის მოწინავე მექანიზატორებთან მოთათბირების შემდეგ შემუშავებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი მოსავლის აღების მთელ პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების ახლებურად მოწყობისათვის.

უწინარეს ყოვლისა მიიღეს გადაწყვეტილება დაეწესებინათ პარტიის რაიონული კომიტეტის სამი გარდამავალი წითელი დროშა: პირველი — „სტალინეც-6" მარკის კომბაინის აგრეგატებს შორის დაწინაურებულისათვის, მეორე — „კომუნარის" მარკის და მესამე—თვითმავალი კომბაინების აგრეგატებს შორის დაწინაურებულთათვის. მიიღეს გადაწყვეტილება — ყოველდღიურად ეწარმოებინათ შეჯიბრების მსვლელობის შეჯამება და დროშის მინიჭება. ეს მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ქარელელი ამხანაგები არც ამას შეუშინდნენ. რაიონში არის სამი მძლავრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ყოველდღიურად, ღამის 12 საათისათვის თითეული კომბაინის აგრეგატიდან რაიონში წარდგენილი მასალების საფუძველზე უნდა გამორკვეულიყო — ამ დღეს რომელმა აგრეგატმა რამდენ ჰექტარზე აიღო მოსავალი და რამდენი ცენტნერი ხორბალი გალეწა.

ამიტომ ჩვენში გაკვირვება არ გამოუწვევია, როდესაც ნაშუაღამევის პირველ საათზე პარტიის ქარელის რაიკომის მდივნის კაბინეტში შეჯიბრების შედეგების შეჯამებას შევუსწარით. მათ მუშაობა უკვე დაემთავრებინათ და გარდამავალი დროშების მინიჭებაზე მსჯელობდნენ. რაიკომის მდივანმა ყველას გასაგონად თქვა:

— „სტალინეც-6" მარკის კომბაინებს შორის დღესაც პირველ ადგილზე იოსებ ტიტვინიძის აგრეგატი გამოვიდა. მან დღეს 20,5 ჰექტარზე აიღო მოსავალი და თითეულ ჰექტარზე საშუალოდ 16 ცენტნერი მარცვალი გალეწა. გარდამავალი დროშა კვლავ მას რჩება.

„კომუნარის" მარკის კომბაინის აგრეგატთა შორის პირველობა მოიპოვა ოთარ კავთელაშვილის აგრეგატმა, რომელსაც გარდამავალი დროშა მიენიჭა. თვითმავალ კომბაინებს შორის დროშის მფლობელი კომბაინერ ა. გეგელაშვილის აგრეგატი გახდა.

ეს ცნობები იმავე ღამეს ტელეფონით გადაეცათ მტს-ების დირექტორების მოადგილეებს პოლიტნაწილში. მათი მოვალეობა კი იმაში მდგომარეობს, რომ თითეული კომბაინის აგრეგატის კოლექტივს სამუშაოდ გასვლამდე გააცნონ რაიონული ჟიურის აღნიშნული გადაწყვეტილება. ისინიც მთელი მონდომებით, პასუხისმგებლობის გრძნობით აკეთებენ ამას.

როგორ ხდება კომბაინერთა მიერ შესრულებული სამუშაოს ყოველდღიურად აღრიცხვა და მასალების რაიონში წარდგენა?

ამ საქმეში ოპერატიულობა წყვეტს ყველაფერს. თითეული კომბაინის აგრეგატზე მიმაგრებულია მტს-ის აღმრიცხველი. იგი კოლმეურნეობის მეჰინდვრეობის ბრიგადირთან ერთად კომბაინის ყოველ შემოვლაზე ზომავს მომკილ ნაკვეთს და შეაქვს აღრიცხვის წიგნში. როდესაც გვიან ღამით კომბაინი მუშაობას წყვეტს, აღმრიცხველი, კოლმეურნეობის წარმომადგენლები და კომბაინერი ერთად აჯამებენ ჩანაწერებს და საერთო შედეგების შესახებ ცნობებს გადასცემენ ტელეფონით ან სპეციალური კაცის ხელით მტს-ის დირექციას, ეს უკანასკნელი კი —პარტიის რაიკომს. რაიონში თავმოყრილი მასალებით უკვე ადვილი ხდება დღის შედეგების გამორკვევა. ამას დიდად უწყობს ხელს წინასწარ გამზადებული ყოველდღიური აღრიცხვის ფურცლები, რომლებშიც არის გრაფები: კომბაინერის გვარი და სახელი, კომბაინის მარკა, რომელ კოლმეურნეობაში მუშაობს, რამდენია ყოველდღიური დავალება, მისი ფაქტიური შესრულება და რომელი ადგილი დაიკავა.

სოციალისტური შეჯიბრების ასეთმა ორგანიზაციამ შრომითი აღტყინება გამოიწვია რაიონის მექანიზატორთა შორის და თვალსაჩინოდ გაზარდა კომბაინთა აგრეგატების ნაყოფიერება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია შემდეგი ფაქტის დასახელება.

სახელმწიფო გეგმით ქარელის რაიონში კომბაინებით პურეულის მოსავალი ყოველდღიურად უნდა აიღონ 380 ჰექტარზე. 16 ივლისს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 38 კომბაინი იყო სამუშაოდ გასული, მოსავალი აღებულ იქნა 350 ჰექტარზე, 17 ივლისს უკვე 410,5 ჰექტარზე, ხოლო 18 ივლისს — 438 ჰექტარზე. შემდგომ კიდევ უფრო გადიდდა კომბაინთა აგრეგატების წარმადობა. ახლა რაიონის კომბაინერები დღეში საშუალოდ 450-470 ჰექტარზე იღებენ პურეულს, ამასთან ცალკეული კომბაინერები ორმაგად და უფრო მეტად ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას. ამ მხრივ მეტად თვალსაჩინოა რუისისა და აგარის მტს-ების წარჩინებული კომბაინერების იოსებ ტიტვინიძისა და გიორგი ნოზაძის შესანიშნავი წარმატებანი. ისინი ყოველდღე საშუალოდ 25 ჰექტარზე იღებენ მოსავალს და თითეულ ჰექტარზე საშუალოდ 16-20 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის მარცვალს ლეწავენ.

მოსავლის აღების პირველ დღეებში „კომუნარის" მარკის კომბაინთა შორის პირველობა მოიპოვა აგარის მტს-ის კომბაინერ ოთარ კავთელაშვილის აგრეგატმა. იგი ყოველდღიურად 12 ჰექტარზე იღებდა პურეულის მოსავალს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. მის კომბაინზე ამაყად ფრიალებდა რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა. მაგრამ კავთელაშვილს ძლიერი „მეტოქე" გამოუჩნდა. რუისის მტს-ის კომბაინერმა მიხეილ მაისურაძემ 18 ივლისს „კომუნარის" მარკის კომბაინით 13,5 ჰექტარზე აიღო მოსავალი და გარდამავალი დროშა მოიპოვა, რომელიც მას გადაეცა კავთელაშვილის აგრეგატიდან. კავთელაშვილი მაშინ სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობის ნაკვეთებზე იღებდა პურეულს. 19 ივლისს დილით, როდესაც კავთელაშვილის აგრეგატიდან დროშა მოხსნეს და წაიღეს, მექანიზატორებს თავთავის აკრეფაზე მომუშავე კოლმეურნე ქალებისა შერცხვათ, შერცხვათ უფრო იმიტომ, რომ მათ გარკვევით მოესმათ ერთ-ერთი მათგანის ნათქვამი:

— სადღა გამოეყოფათ თავი მაგ საცოდავებს, ან რა სინდისით უნდა ჭამონ დღეს პური!

ბიჭებს სირცხვილის მწარე ოფლმა დაასხა. მათ ჩუმად, სიტყვის უთქმელად განაგრძეს მუშაობა. მხოლოდ საღამოხანს მოვიდნენ გონს.

— აგრე არ გამოგვადგება, ოთარ! — შენიშნა ტრაქტორისტმა მიხეილ ჯიმუხაძემ.

— სულით რას დაცემულხარ, ბიჭო! — შეეხმაურა მეშტურვალე ივანე ხორგუაშვილი.

— ხვალ ვნახოთ, მეგობრებო, დღეს ცოტა მაცალეთ, — უპასუხა კავთელაშვილმა და კომბაინის აგრეგატის ნაწილების გასუფთავებას შეუდგა.

მეორე დღეს უკვე 12,5 ჰექტარზე აიღეს მოსავალი. მესამე დღეს კი 13 ჰექტარს გადააჭარბეს და გარდამავალი დროშა კვლავ დაიბრუნეს. კავთელაშვილის აგრეგატმა თავთავის ამკრეფ ქალთა წინაშე გამოისყიდა „დანაშაული", მის აგრეგატზე კვლავ ამაყად აფრიალდა რაიონში პირველობის ალისფერი ალამი.

ამან გაახალისა კოლმეურნეებიც. ისინი ამაყობენ იმით, რომ მათს პურეულის ყანებში მოსავლის აღებაზე მუშაობენ რაიონში ცნობილი ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან საკოლმეურნეო ბარაქისა და დოვლათის სიუხვისათვის, სოციალისტური შეჯიბრების დროშით ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ამ საქმეში.

საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული თავისი კეთილშობილური მოვალეობა. ისინი მასობრივად არიან ჩაბმულნი სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი მოსავლისათვის საბრძოლველად. შეჯიბრება მათ ახალისებს, წინსვლის წყურვილს უათკეცებს. „შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, რადაც ის წინათ მიაჩნდათ, აქცევს **ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ**" (ი. სტალინი).

ამის ნათელი ილუსტრაციაა ქარელის რაიონის მექანიზატორთა მამაცური შრომა პურეულის უხვი მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ა. კოკილაშვილი.

## თათბირი სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის საოლქო სამმართველოების მუშაკთა თათბირი სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის და განვითარების საკითხებზე. თათბირმა მოისმინა თბილისის ოლქის, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოთა უფროსების მოხსენებანი ჩატარებულ მუშაობაზე.

აღინიშნა, რომ თბილისის ოლქისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოების მუშაობა ამ მხრივ ჩამორჩება. ისინი კონკრეტულ ხელმძღვანელობას არ უწევენ რაიონებს, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და განვითარების მთელი რიგი საკითხები — განსაკუთრებით მეცხოველეობაში — შეუსრულებელია.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში აგროზოოტექნიკური კურსების 1952-1953 სასწავლო წლისათვის მზადებას, კურსების დაკომპლექტებას მსმენელებითა და კვალიფიციური მასწავლებლებით და დროზე უზრუნველყოფას პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

## დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება

**ლონდონი**, 26 ივლისი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ინგლისის მთავრობის ცდას—არ დაუშვას მუშათა ხელფასის რაიმე გადიდება.

ინგლისის მთავრობის პოზიცია დახასიათებულია, როგორც „მთლიანად მუშათა კლასის ცხოვრების დონის წინააღმდეგ გაშლილი შეტევის ნიშანი". „მაღალი ფასები, ნათქვამია განცხადებაში,—აიხსნება ხელახალი შეიარაღების პროგრამით და მეწარმეთა უდიდესი მოგებით. ფასების მზარდი გადიდების პირობებში ხელფასის გაყინვა არსებითად ხელფასის შემცირებას ნიშნავს".

განცხადებაში უარყოფილია მტკიცება, რომ ხელფასის გადიდება გამოიწვევს სიძნელეთა გაძლიერებას, რომლებსაც ინგლისი საექსპორტო ბაზრებზე აწყდება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მეწარმეები ამ საბუთს იმისათვის აყენებენ, რომ გაამართლონ ხელფასის შემცირება. „ეს მოასწავებს ერთი ქვეყნის მუშების მეორე ქვეყნის მუშებისათვის წასისიანებას. საჭიროა პროფკავშირების და მუშათა კლასის ერთობლივი საერთაშორისო მოქმედება, რათა ბოლო მოეღოს ომის კურსს, გაუქმდეს აკრძალვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაზე; მიღწეულ იქნას ხელფასის გადიდება და შემცირდეს მეწარმეთა მოგება".

## სასამართლოს თვითნებობა საფრანგეთში

### საგამომძიებლო პალატამ ჟაკ დიუკლოს უარი უთხრა უბის წიგნაკის დაბრუნებაზე

**პარიზი**, 28 ივლისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 25 ივლისს პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატამ ჟაკ დიუკლოს უარი უთხრა უბის წიგნაკის დაბრუნებაზე. როგორც ცნობილია, უბის წიგნაკი მას მოსტაცეს 28 მაისს ღამით პარიზის მე-10 ოლქის პოლიციის კომისარიატში.

გაზეთი „ლუმანიტე" წერს: ის გარემოება, რომ ჟაკ დიუკლოს არ უბრუნებენ მის უბის წიგნაკს მაშინ, როცა მისთვის წაყენებული ბრალდებები ცნობილია უსაფუძვლოდ, „ადასტურებს, რომ მთავრობას განზრახული აქვს ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა გაამართლოს თავისი ეგრეთწოდებული „შეთქმულება".

„თუ მთავრობა და გამომძიებელი ჟაკინო — განაგრძობს გაზეთი,—კვლავ აპირებენ შეინარჩუნონ ეს უბის წიგნაკი,—ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სურთ გააყალბონ ის, რაც ამ წიგნაკში წერია".

## იტალიის მშრომელთა ბრძოლა სამუშაოდან დათხოვნის წინააღმდეგ

**რომი**, 27 ივლისი. (საკდესი). ანსას სააგენტო იუწყება, რომ აოსტას ველზე მეტალურგიული ქარხნის „კონიეს" 8.000 მშრომელმა საპროტესტო გაფიცვა მოაწყო ქარხნისათვის ნედლეულის მიმწოდებელი მეზობელი მაღაროების 110 მაღაროელისა და მუშის დათხოვნის წინააღმდეგ.

## მდგომარეობა ეგვიპტეში

**ბეირუთი**, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც ეგვიპტის პრესა და რადიო იუწყება, ეგვიპტის მთავრობამ ახმედ ფუად II (ყოფილი მეფის ფარუკის შვილი თვის ვაჟი) გამოაცხადა „ეგვიპტისა და სუდანის მეფედ".

ცნობებში აღნიშნულია, რომ ყოფილმა მეფემ ფარუკმა ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ალი მაჰერ-ფაშას გადასცა პაკეტი სარეგენტო საბჭოს წევრთა სიით. ეს პაკეტი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა გაიხსნას პარლამენტის ორივე პალატის წევრთა თანდასწრებით. სარეგენტო საბჭოს საბოლოოდ დანიშვნამდე მეფის ხელისუფლების საკონსტიტუციო ფუნქციებს მთავრობა შეასრულებს.

**ბეირუთი**, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, ინგლისის სამხედრო სარდლობას საზღვაო და სახმელეთო ძალები გადაჰყავს კუნძულ მალტიდან და კვიპროსიდან სუეცის არხის ზონაში.

**ბეირუთი**, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც დამასკოს რადიო იუწყება, გუშინ უცხოეთიდან ეგვიპტეში ჩავიდა ვაფდის პარტიის თავმჯდომარე ნაჰას-ფაშა.

ბეირუთის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ვაფდის პარტიის ხელმძღვანელობამ დაადგინა— გაუქმებულად ჩაითვალოს მეფის დეკრეტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ და მოითხოვოს პარლამენტის მოწვევა.

## მდგომარეობა ირანში

**ლონდონი**, 28 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი" თვალსაჩინო ადგილას ათავსებს ცნობას, რომ ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა ირანიდან გაასახლა შაჰის და და ძმა.

**ბერლინი**, 28 ივლისი. (საკდესი). ბადენ-ბადენის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ „მნიშვნელოვნად გააძლიერეს ირანის შაჰის სასახლის სამხედრო დაცვა.

ირანის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ მეფე ფარუკის მიერ ტახტზე ხელის აღებას შეუძლია შეასუსტოს ირანის შაჰის მდგომარეობა.

მეფე ფარუკის მიერ ტახტზე ხელის აღების ცნობას ირანის დედაქალაქში შეხვდნენ როგორც ბომბის აფეთქებას. თეირანის რადიოს ჯერაც არ გადაუცია ცნობა მეფე ფარუკის გადადგომის შესახებ".

## აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი მოქმედებს

**პარიზი**, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, გუშინ ამერიკელი გენერალი უაიმენი დაინიშნა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახმელეთო ძალების სარდლად. როგორც ცნობილია, ამ სარდლობას ექვემდებარებიან საბერძნეთ-თურქეთის სახმელეთო ჯარები.

## საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე

**ჰელსინკი**, 28 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ჰელსინკის ცენტრალურ სტადიონზე დამთავრდა ოლიმპიური შეჯიბრება მძლეოსნობაში.

საბჭოთა სპრინტერების გუნდმა, რომელიც გუშინ 4×100 მეტრიანი ესტაფეტის ფინალში გამოვიდა, კვლავ დაგვანახვა მაღალი სპორტული ოსტატობა და მეორე ადგილი დაიკავა (მისი შედეგია 40,3 წამი) და ამრიგად დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი და გადააჭარბა წინანდელ ოლიმპიურ რეკორდს, რომელიც უდრის 40,6 წამს.

საბჭოთა სპრინტერები ბ. ტოკარევი, ლ. კალიაევი, ლ. სანაძე და ვ. სუხარევი ვერცხლის ოლიმპიური მედლებით დააჯილდოვეს.

გუშინ გაიმართა საშუალო წონის ძალოსანი შტანგისტების შეჯიბრება.

კლასიკურ სამჭიდში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ლომაკინმა—417,5 კილოგრამი. მეორე ადგილზეა სტანჩიკი (ამერიკის შეერთებული შტატები) —415 კილოგრამი, მესამეზე—ვოროზიოვი (სსრ კავშირი)—407,5 კილოგრამი.

გუშინ დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან შეჯიბრებაში საბჭოთა მოჭიდავეებმა კვლავ გამოიჩინეს შესანიშნავი ოსტატობა, მაღალი ტექნიკა და ფიზიკური მომზადება.

მე-15 საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის პირველი ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში გახდა საბჭოთა მოჭიდავე ბორის გურევიჩი (უმჩატესი წონა). მან კარგად დაამთავრა ყველა შეჯიბრება, გუშინ ქულების მიხედვით სუფთა გამარჯვება მოიპოვა იტალიელ ფაბრაზე და უზრუნველყო თავისთვის პირველი ადგილი.

ხუთი ათასი მაყურებლის ტაშის გრიალში ბორის გურევიჩს (სსრ კავშირი) გადაეცა ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ყველა წონის კატეგორიის შეჯიბრებათა შედეგად საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 4 ოქროს, 1 ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი.

დღეს დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა მსროლელმა ბოგდანოვმა. მან ოქროს მედალი მოიპოვა სასროლო შეჯიბრებაში—საბრძოლო ნებისმიერი შაშხანის 120 გასროლაში. მისი შედეგია 1.123 ქულა. მეორე ადგილზეა ბერშლერი (შვეიცარია)—1.120 ქულა, მესამეზე—ვაინშტეინი (სსრ კავშირი) 1.109 ქულა.

საბჭოთა კალათბურთელებმა გუშინ მოუგეს მექსიკის ნაკრებ გუნდს ანგარიშით 71 : 62.

წყალბურთში უნგრეთის გუნდმა მოუგო საბჭოთა გუნდს ანგარიშით 5 : 3.

**ჰელსინკი**, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში დაიწყო შეჯიბრების მეორე წრე კალათბურთში.

საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდს. ამერიკის გუნდი შედგებოდა ტანმაღალი მოთამაშეებისაგან (ბევრი მათგანის სიმაღლე ორ მეტრს აღემატება). შეხვედრამ დაძაბული ბრძოლით ჩაიარა და დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 86 : 58. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ქორქია თამაშის დასაწყისში დაშავდა და იძულებული იყო ჯერ საერთოდ დაეტოვებინა მოედანი, ხოლო შემდეგ უკვე ვეღარ შეძლო მთელი ძალით თამაში.

დღესვე გაიმართა საფრანგეთისა და ურუგვაის ნაკრები გუნდების შეხვედრა. თამაშს ძალიან მწვავე ხასიათი ჰქონდა და დამთავრდა შემდეგი ინციდენტით: თამაშის შემდეგ ურუგვაის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა სცადა ეცემნა ამერიკელ მსაჯ ფარელისათვის, რომლის მსაჯობით იგი უკმაყოფილო იყო.

გამძვინვარებული მოთამაშის დასამშვიდებლად მესუჰალის მცირე დარბაზში, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, გამოიწვიეს პოლიციის გაძლიერებული რაზმი. საფრანგეთ-ურუგვაის შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 68 : 66 საფრანგეთის გუნდის სასარგებლოდ.

არგენტინის კალათბურთელებმა ანგარიშით 100 : 56 მოუგეს ბულგარეთის გუნდს, ბრაზილიის კალათბურთელებმა — ანგარიშით 75 : 44 — ჩილის გუნდს.

დღეს გაიმართა კაიაკებით 500 მეტრი დისტანციის გაცურვის მონაწილე ქალთა ფინალური შეჯიბრება.

საბჭოთა სპორტსმენმა ნინო სავინამ მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. მისი შედეგია 2 წუთი და 21,6 წამი.

პირველ ადგილზე გამოვიდა საიმო (ფინეთი)— 2 წუთი და 18,4 წამი, მეორეზე—ლიბარტი (ავსტრია)—2 წუთი და 18,8 წამი.

გრძელდება წყალბურთელთა შეჯიბრება. საბჭოთა კავშირის გუნდმა ანგარიშით 3 : 2 მოუგო ეგვიპტის გუნდს.

ინგლისის გუნდმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა ავსტრიის გუნდთან. ესპანეთის გუნდმა ანგარიშით 6 : 4 მოუგო ბრაზილიის გუნდს, ბელგიის გუნდმა ანგარიშით 4 : 0—სამხრეთ აფრიკის გუნდს, იტალიის გუნდმა ანგარიშით 5 : 4— ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს, უნგრეთის გუნდმა ანგარიშით 9 : 1—დასავლეთ გერმანიის გუნდს, შვეციის გუნდმა ანგარიშით 7 : 2—არგენტინის გუნდს.

დღეს ჰელსინკში ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა პირველი ნახევარფინალური შეხვედრა ოლიმპიურ პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ უნგრელი და შვედი ფეხბურთელები. თამაშმა ჩაიარა უნგრეთის გუნდის სრული უპირატესობით, რომელმაც შეწყობილი და ტექნიკური თამაში უჩვენა დამსწრეთ. შეხვედრა დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით 6 : 0.

დღეს დილით დაიწყო შეჯიბრება კრივში. საბჭოთა მოკრივე ანატოლი ბულაკოვი შეხვდა ძლიერ ჰოლანდიელ მოკრივეს ვან დერ ზეეს. ბულაკოვის უპირატესობა, განსაკუთრებით ორ უკანასკნელ რაუნდში, აშკარა იყო და მსაჯებმა ერთსულოვნად მიუსაჯეს მას გამარჯვება.

გენადი გარბუზოვმა (სსრ კავშირი) ქულების მიხედვით დაამარცხა ჟან რენარი (საფრანგეთი). შეჯიბრება გრძელდება.

დღეს დამთავრდა მძიმე წონის შტანგისტთა შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში. საბჭოთა კავშირის სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა ზანგმა ჯონ დევისმა (ამერიკის შეერთებული შტატები). მისი შედეგია კლასიკურ სამჭიდში 460 კილოგრამი (ახალი ოლიმპიური რეკორდი).

სამჭიდის ცალკეულ სახეობებში დევისმა აჩვენა: აჭიმვა—150 კილოგრამი, ატაცი—145 კილოგრამი, აკვრა—165 კილოგრამი.

მეორე ადგილზე გამოვიდა ბრედფორდი (ამერიკის შეერთებული შტატები)—437,5 კილოგრამი, მესამეზე—სილვეტი (არგენტინა)—432,4 კილოგრამი.

**ჰელსინკი**, 28 ივლისი. (საკდესი) დამთავრდა კალათბურთში ოლიმპიური შეჯიბრების პირველი წრე. მეორე წრეში მონაწილეობას მიიღებენ 8 ქვეყნის გუნდები, რომლებსაც საუკეთესო შედეგები აქვთ პირველი წრის შეჯიბრების დროს.

გუშინ მოხდა წილისყრა, რომელმაც განსაზღვრა შეჯიბრების შემდგომი წესი. პირველ ჯგუფში თამაშობენ არგენტინის, ურუგვაის, საფრანგეთისა და ბულგარეთის კალათბურთელები. მეორეში საბჭოთა კავშირის, ჩილის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის კალათბურთელები.

**ჰელსინკი**, 28 ივლისი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა ქვემძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრება სიმძიმის აწევაში.

პირველი ადგილი დაიკავა სპორტსმენმა შემანსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები). კლასიკურ სამჭიდში მისი შედეგია 445 კილოგრამი, რაც აღემატება წინანდელ მსოფლიო რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. აჭიმვაში მან აჩვენა 127,5 კილოგრამი, ატაცში 140 კილოგრამი (ახალი მსოფლიო რეკორდი) და აკვრაში 177,5 კილოგრამი (ახალი მსოფლიო რეკორდი).

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გრიგოლ ნოვაკმა მოიპოვა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი. მისი საერთო შედეგია 410 კილოგრამი: აჭიმვაში — 140 კილოგრამი, ატაცი—125 კილოგრამი და აკვრა — 145 კილოგრამი.

მესამე ადგილზეა კილგური (კუნძული ტრინიდადი) — 404,5 კილოგრამი.

## წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია

**ტორონტო**, 27 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ მუშაობა დაიწყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციამ მთავრობათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

კონფერენციამ პირველ პლენარულ სხდომაზე აირჩია თავისი ხელმძღვანელი ორგანოები. კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულია კანადის წითელი ჯვრის წარმომადგენელი ჯონ ა. მაკოლეი.

სხდომის დაწყებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა სუ ძინ-გუანმა მოითხოვა გომინდანელთა ხროვის წარმომადგენლების გაძევება კონფერენციიდან.

თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ თითქოს გომინდანელთა წარმომადგენლები კონფერენციას ესწრებიან „კანონიერ" საფუძველზე და შემდეგ სასწრაფოდ დახურა სხდომა. მან განაცხადა, ყველა პროტესტი შეიძლება განხილულ იქნას შემდეგ პლენარულ სხდომაზე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართება.

**ტორონტო**, 27 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). 25 ივლისს წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგის კონფერენციაზე სხდომა ჰქონდა ლიგის მმართველთა საბჭოს—ლიგის ძირითად ორგანოს, რომელმაც განიხილა კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები.

საბჭოთა ბავშვების რეპატრიაციის შესახებ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის დელეგაციის წევრი სპერანსკაია. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას არაერთხელ მიუმართავს წითელი ჯვრის საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისათვის საბჭოთა ბავშვების რეპატრიაციის საკითხზე, რომლებიც ომის დროს ჰიტლერელებმა ფაშისტურ ტყვეობაში გარეკეს. ომის დამთავრების შემდეგ 7 წელი გავიდა, მაგრამ საბჭოთა ბავშვები დღემდე იტანჯებიან უცხოეთში, რითაც ირღვევა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები და ჰუმანურობის პრინციპები. ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი მაოკუპირებელი ხელისუფლები მალავენ გერმანიაში მყოფი საბჭოთა ბავშვების რიცხვს, ფარავენ მათ ადგილსამყოფელს, სხვა ქვეყნებში მიჰყავთ ისინი.

სპერანსკაიამ მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა ბავშვების რეპატრიაციის საკითხზე წითელი ჯვრის სხვადასხვა ორგანომ, ბევრი რეზოლუცია მიიღო, მაგრამ არც ამერიკის, არც ბრიტანეთის, არც საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოებანი არაფერს არ აკეთებენ ამ რეზოლუციების შესასრულებლად.

საბჭოთა დელეგაციის სახელით სპერანსკაიამ საბჭოს მიმართა წინადადებით მიიღოს რეზოლუცია და მოუწოდოს შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს განახორციელონ ღონისძიებანი გერმანიისა და ავსტრიის დასავლეთ ზონებში მყოფი საბჭოთა ბავშვების სამშობლოში დასაბრუნებლად. რეზოლუცია მიმართავს კონფერენციას მოუწოდოს აღნიშნული ქვეყნების წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებებს განახორციელონ ახალი ღონისძიებანი, რათა დადებითად გადაწყდეს ეს საკითხი.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებას მხარი დაუჭირეს ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და პოლონეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა. საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა შეერთებული შტატების წითელი ჯვრის წარმომადგენელი. როგორც ჩანს, საბჭოს ბევრმა წევრმა ვერ გაბედა წინააღმდეგობა გაეწია ამერიკის დელეგატისათვის და ამჯობინა უარი ეთქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე. საბჭოთა დელეგაციის წინადადება უარყვეს 8 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (ოთხმა თავი შეიკავა), თუმცა საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილია 60-მდე დელეგაცია. საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის დელეგაციის წინადადებას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წითელი ჯვრის დელეგაციებმა.

წითელი ჯვრის საზოგადოების ლიგის წევრად დასავლეთ გერმანიის მიღების საკითხზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სლავინი, რომელმაც აღნიშნა, რომ ხსენებული წითელი ჯვრის მიღება არღვევს ერთ-ერთ ძირითად წესს, რომლის თანახმად წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების მოქმედების სფეროში უნდა იყოს მთელი ესა თუ ის ქვეყანა, რაც არ არის დასავლეთ გერმანიაში, მაგრამ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ თავი აარიდა საკითხზე ყოველგვარ არსებითს მსჯელობას და მექანიკური კენჭისყრით—33 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ მოიწონა ლიგაში დასავლეთ გერმანიის მიღება.

## ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადება დასავლეთ გერმანიაში

**ბერლინი**, 26 ივლისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება: როგორც აქ დღეს შეიტყეს, „ბლანკის უწყებამ" (დასავლეთ გერმანიის ფაქტიური სამხედრო სამინისტრო. — რედ.) რიჯუეის შტაბის მითითების შესაბამისად დაიწყო ყოფილი სამხედრო ბიოქიმიკოსებისა და ბაქტერიოლოგების რეგისტრაცია დასავლეთ გერმანიაში. ამავე დროს დასავლეთ გერმანიის ყველა ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტსა და ლაბორატორიაში ხორციელდება რეგისტრაცია და ინვენტარის აღწერა.

მიღებულია აგრეთვე ცნობა, რომ „ბლანკის უწყების" მიერ რეგისტრირებულმა დასავლეთგერმანელმა სამხედრო ბიოქიმიკოსებმა და ბაქტერიოლოგებმა ჯერ უნდა გაიარონ კურსი ჰანაუში ამერიკის საოკუპაციო ჯარების ქიმიურ ლაბორატორიასთან, ხოლო შემდეგ გაწვეულ უნდა იქნან „ევროპის არმიის" სპეციალურ ნაწილებში.

გარდა ამისა რიჯუეის მოთხოვნით „ბლანკის უწყებამ" ამ დღეებში მას გადასცა 500 გვერდზე დაწერილი მოხსენება მეორე მსოფლიო ომის დამლევისათვის გერმანიის სამხედრო-ბაქტერიოლოგიური მეცნიერების განვითარების დონის შესახებ.

მოკლე შენიშვნები

# მილიარდერების კანდიდატი

1948 წელს გათამაშდა გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტად (რექტორად) არჩევის ცერემონია. მეცნიერების ამ „ტაძარში", რომელსაც ამერიკელები ირონიულად „მორგანის სახლის უნივერსიტეტს" უწოდებენ, უოლ-სტრიტმა გაგზავნა თავისი კაცი, რომელიც შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორებმა რექტორად „აირჩიეს". ცერემონია ფრიად საზეიმო ხასიათს ატარებდა. ეიზენჰაუერმა მრავალი საჩუქარი მიიღო. მას, სხვათა შორის, წიგნებიც აჩუქეს. გენერალმა, რომელიც ისეა დაშორებული მეცნიერებას, როგორც ცა დედამიწას, თავის გამოსვლაში განაცხადა: „მე არ ვფიქრობ, რომ შევძლო რაიმე წვლილი შევიტანო მეცნიერებისა და განათლების სფეროში"... სრული ჭეშმარიტებაა!.. „გმადლობთ, — მიმართა მან თავის მეგობრებს, რომლებმაც წიგნები უძღვნეს,— ვეცდები წავიკითხო ისინი. სიმართლე გითხრათ, უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ერთი წიგნიც არ წამიკითხავს". სამარცხვინო აღიარებაა! თავი რომ დავანებოთ იმას, თუ რა მაგალითი მისცა უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა სტუდენტებს, ეს ფაქტი გენერლის საერთო განათლების დონის მაჩვენებელიც არის.

დაიწყო ეიზენჰაუერის სამოქალაქო კარიერა. მან თუმცა გენერლის მუნდირი გაიხადა, მაგრამ ფაქტიურად კვლავ სამხედრო პირად დარჩა. უოლ-სტრიტის დავალებით იგი უნივერსიტეტის მილიტარიზაციას შეუდგა. „ჩემო ჯარისკაცებო!"... ასე მიმართა ეიზენჰაუერმა სტუდენტებს თავის სიტყვაში, რომელშიც იგი ხაზს უსვამდა „სისხლის, მსხვერპლისა და სიკვდილის" აუცილებლობას...

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის რექტორს, გენერალ ეიზენჰაუერს წიგნი არც 1948 წლის შემდეგ წაუკითხავს. მართლაც, სად სცალოდა მას წიგნისათვის! იგი სულ მალე ხომ აგრესიული ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ კავშირის სამხედრო თათბირების მუშაობაში. გენერალი ეიზენჰაუერი ძალიან ბევრს მოგზაურობდა ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნებში და აკოწიწებდა ატლანტიკის აგრესიულ არმიას. „ომისათვის საჭიროა ადამიანები და ქვემეხები. შეერთებული შტატები იძლევიან ქვემეხებს, ევროპა—ჯარისკაცებს",—დაჟინებით აცხადებდა იგი ლონდონში და ლუქსემბურგში, პარიზსა და ათენში, რომსა და ანკარაში...

ახლა ამერიკელმა მაგნატებმა თავიანთი ერთგული ეიზენჰაუერის დაწინაურება განიზრახეს და იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს რესპუბლიკური პარტიისაგან.

მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა ეიზენჰაუერისა და ტაფტის მომხრეებს შორის რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე, სადაც გენერალი ეიზენჰაუერი პრეზიდენტობის ოფიციალურ კანდიდატად დაასახელეს. იბრძოდა ორი ფინანსური ჯგუფი. გენერალ ეიზენჰაუერს მხარს უჭერდნენ: მილიარდერ როკფელერის სიძე, „ჩეიზ ნეიშნლ ბენკ ოფ ნიუ-იორკის" თავმჯდომარე უინტროპ ოლდრიჩი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ამერიკის საბჭოს თავმჯდომარე და „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნის" დირექტორი ჯორჯ სლოუნი, კომპანია „ჯენერალ მოტორსის" დირექტორი და „კონტინენტალ კენ კომპანის" მეთაური გენერალი კლეი, უდიდეს ფინანსურ დაჯგუფებათა — როკფელერის, დიუპონის, მელონისა და ფორდის წარმომადგენლები. (სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ თავის დროზე როკფელერის, მორგანისა და დიუპონის მთელი რიგი კომპანიები და კორპორაციები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული გერმანიის მონოპოლისტურ ჯგუფებთან, რომლებიც აფინანსებდნენ ჰიტლერს.)

ტაფტს მხარს უჭერდა ჩიკაგოსა და კლივლენდის ბანკირებისა და მრეწველების ჯგუფი: საავტომობილო კომპანიის „კრაისლერის" დირექტორი ხატჩინსონი, ჩიკაგოს უდიდესი მონოპოლიის „სირს როებკ ენდ კომპანის" მმართველი, გენერალი რობერტ ვუდი და სხვ. მუქარა, შანტაჟი, დაპირებები, მოსყიდვა — ყველა ეს საშუალება იქნა გამოყენებული. ყრილობის ერთ-ერთი დელეგატის მოსწრებული შენიშვნით, „მილიარდერებმა დაამარცხეს მილიონერები". ყრილობაზე გაიმარჯვეს ეიზენჰაუერის მომხრეებმა. ეს გამარჯვება მათ 20 მილიონამდე დოლარი დაუჯდათ...

საარჩევნო კამპანია დაიწყო. დიდ გაწამაწიაში არიან პარტიული ბოსები, პოლიტიკური კომერსანტები, მსხვილი კაპიტალისტები, რეაქციული პრესის მქლაბნელები. წინასაარჩევნო მიტინგები და მანიფესტაციები დიდ საცირკო წარმოდგენას ჩამოჰგავს. ქუჩებში დააქვთ ვეებერთელა სურათები სპილოსა და ეიზენჰაუერის გამოსახულებით. ეს რესპუბლიკური პარტიისა და მისი კანდიდატის სიმბოლოა. ქალები ატარებენ უცნაურ ქუდებს წარწერით —„მე მიყვარს აიკი" (ეიზენჰაუერი). იყიდება მონოკლები, სათვალეები, წინდები, ყელსახვევები იმავე წარწერით. ყველაფერი ეს გამიზნულია გენერალ ეიზენჰაუერის პოპულარიზაციისათვის. პრესაში ათასგვარ სენსაციურ ამბებს ბეჭდავენ. ზოგს აინტერესებს პრეზიდენტობის კანდიდატის შეხედულებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ზოგს კი — როგორი სილამაზისაა მისი მეუღლე და რამდენად დაამშვენებს იგი თეთრ სახლს.

ეიზენჰაუერის მომხრეებს განსაკუთრებით ეშინიათ გენერლის წინასაარჩევნო სიტყვებისა: იციან მისი ყოვლად უტაქტო გამოსვლების ამბავი. ამას წინათ, მაგალითად, გენერალი უხეშად დაესხა თავს ფრანგ ხალხს: „საფრანგეთი, — განაცხადა მან, — ასცდა გზას... საქმე იქამდე მიდის, რომ ფრანგების ზნეობრივი საფუძვლები ირღვევა"...

4 ივნისს გენერალმა ეიზენჰაუერმა ქალაქ აბილინში თავისი პირველი წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა. ამ მეტად ბუნდოვანი გამოსვლიდან ჩანს, რომ საშინაო პოლიტიკის საკითხებში მას უაღრესად რეაქციული პოზიცია უჭირავს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის საკითხებს, იგი ფაქტიურად ეთანხმება ტრუმენის აგრესიულ პოლიტიკას. ეიზენჰაუერის სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეიცავდა ათასგვარ ჭორსა და ლაყბობას „კომუნიზმის მსოფლიო საფრთხეზე"...

ლაყბობით „კომუნიზმის მსოფლიო საფრთხეზე" დაიწყო თავისი ავანტიურისტული საქმიანობა ჰიტლერმა. ლაყბობით „კომუნიზმის მსოფლიო საფრთხეზე" იწყებს თავის წინასაარჩევნო კამპანიას გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერიც, გუშინ აგრესიული ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პრეტენდენტი!

გ. მელაძე.




უოლ-სტრიტის კანდიდატების შინაარსით ერთიანი, ფორმით ვითომ სხვადასხვა საარჩევნო პლატფორმა (სპილო — რესპუბლიკური პარტიის ემბლემაა, ვირი—დემოკრატიული პარტიისა. რედ.)

ნახ. მ. ოთაროვისა.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 28 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით იგერიებდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების იერიშებს და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ოთხი და დააზიანეს 5 თვითმფრინავი, რომლებიც თავს ესხმოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებს.

## კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების გამო

**პეკინი,** 26 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი 25 ივლისს კესონიდან იუწყება:

ამერიკელები არღვევენ შეთანხმებას დახურული სხდომების მიმდინარეობის საიდუმლოდ დაცვის შესახებ. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მათ არაერთხელ აცნობეს იუნაიტედ პრესის სააგენტოსა და ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტებს ამ სხდომებზე მოლაპარაკების მსვლელობა.

ამ გზით ამერიკელებს სურთ შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო თავიანთი ცალმხრივი ვერსიის საშუალებით სწორედ ისევე, როგორც ისინი ამას ცდილობდნენ მიმდინარე წლის მარტში, როცა დაარღვიეს შეთანხმება შტაბის ოფიცრების დახურული სხდომების მიმდინარეობის საიდუმლოდ დაცვის შესახებ.

პირიქით, კორეისა და ჩინეთის მხარე მტკიცედ იცავდა ამ შეთანხმებას სრული შემადგენლობის დელეგაციების 22 დღის დახურული სხდომების მანძილზე და არ გაუმჟღავნებია ის, რაც ამ სხდომებზე ხდება.

იუნაიტედ პრესის ტოკიოელი კორესპონდენტის 20 ივლისის ცნობაში აღნიშნულია, რომ ჩვენი მხარე „უარს ამბობს აღიაროს, რომ 20 ათას ჩინელ სამხედრო ტყვეს თავიანთი ოჯახების გადარჩენის გულისთვისაც კი არა სურს შინ დაბრუნდეს".

ორი დღის შემდეგ ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა ამერიკული ვერსიის შინაარსი, რომელიც ამახინჯებს კორეისა და ჩინეთის მხარის პოზიციას. ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი მხარე მხოლოდ „მოითხოვს ყველა იმ ჩინელი ტყვის ძალით რეპატრიაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარეს ჰყავს". ასეთი ჭორები, რომელთა მიზანია უთანხმოების დათესვა, მხოლოდ ადამიანთა ზიზღს იწვევს მთელ მსოფლიოში. კორეისა და ჩინეთის მხარემ მოითხოვა დახურული სხდომების მოწყობა, რადგან 10 ივლისს ამერიკელებმა შეცვალეს თავიანთი პოზიცია, რომელიც მაისსა და ივნისში ეკავათ, როცა უარს ამბობდნენ რაიმეს განხილვაზე. 1 ივლისს მათ განაცხადეს, რომ სურთ მიაღწიონ საკითხის ორივე მხარისათვის მისაღებ გადაჭრას დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის 51-ე პარაგრაფის საფუძველზე, რომელშიც ნათქვამია, რომ თვითეული მხარის განკარგულებაში მყოფი ყველა ტყვე განთავისუფლებულ და რეპატრიირებულ უნდა იქნას.

კორეისა და ჩინეთის მხარემ შემდეგ შეიტანა წინადადება, რომ ორივე მხარის დელეგატებს ჰქონოდათ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად, განხილვისა და კონსულტაციის გზით მიეღწიათ გონივრული და სამართლიანი მოწესრიგებისათვის, რომელიც ორივე მხარის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

მაგრამ იმ დროს, როცა დახურული სხდომები მიმდინარეობდა, ამერიკელებმა არათუ დაბომბეს ელექტროსადგურები მდინარე იალუძიანზე, არამედ აგრეთვე ბომბავდნენ კორეის მშვიდობიან ქალაქ ფხენიანს და იჭრებოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში, ცეცხლს უშენდნენ ჩინელ მოსახლეობას, ხოლო ამერიკის არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მაღალი თანამდებობის ოფიცრებმა სცადეს დაეშინებინეთ პროვოკაციული განცხადებებით.

სავსებით ნათელია, რომ ამას ისინი სჩადიან, რათა აიძულონ ჩვენი მხარე დაეთანხმოს მათს უკანონო „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის" — მათს გეგმას, რომლის მიზანია კორეელი და ჩინელი ტყვეების დაკავება, როგორც ისინი უწოდებენ, „სამხედრო ზეგავლენის" საშუალებით და კონფერენციის მაგიდასთან ყალბი გამოსვლების საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამჯობინებენ მოლაპარაკების გაჭიანურებას ან ჩაშლასაც კი.

22 დღის დახურული სხდომების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამერიკელების ეს გეგმა ჩაიფუშა. მათმა სამხედრო ზეგავლენამ კონფერენციის ფარგლებს იქით ვერ შეგვაშინა. მათ კონფერენციის მაგიდასთანაც ვერ შეძლეს ჩვენი მოტყუება. პირიქით, ჩვენმა მხარემ ამხილა და მკაცრად გააკრიტიკა მათი საზიზღარი მოქმედება. მათმა საშიშმა მოქმედებამ და პროვოკაციულმა განცხადებამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია აღშფოთება და დაგმობა, აგრეთვე მათი მოკავშირეების ჩივილი.

ყოველივე ამან გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკელი იმპერიალისტები. ამიტომ ისინი ახლა კვლავ მიმართავენ ფანდებს, რომლებიც მაისსა და ივნისში გამოიყენეს, უარს ამბობენ განხილვასა და კონსულტაციაზე და 5-7 წუთამდე ამცირებენ ყოველ სხდომას. ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ ასეთი მოქმედებით რაც შეიძლება გააჭიანურებენ დახურულ სხდომებს, რადგან მათ შეუძლიათ ამოეფარონ ამ სხდომების საიდუმლობის შირმას და თავიდან აიცილონ მთელი მსოფლიოს ხალხთა დაგმობა, რომლებსაც სურთ იცოდნენ სიმართლე და მოითხოვენ გაიმარჯვოს სამართლიანობამ.

ამ პერიოდში ამერიკელების ასეთმა საქციელმა აზრი დაუკარგა დახურულ სხდომებს. ამიტომ ჩვენი მხარის დელეგაციამ 25 ივლისს მოითხოვა შეწყდეს დახურული სხდომები, განახლდეს ორი დელეგაციის ღია პლენარული სხდომები და წარმოებულ იქნას ღია მოლაპარაკება.

სავსებით ნათელია, რომ ჩვენი მხარის დელეგაციის ეს ნაბიჯი აუცილებელია. მთელი მსოფლიოს ადამიანები ამ პერიოდში მოლაპარაკების გამოცდილების საფუძველზე თვითონ განსჯიან, რომ ამერიკელი აგრესორები პასუხისმგებელი არიან დახურული სხდომების მიმდინარეობას საიდუმლოდ დაცვის შესახებ შეთანხმების დარღვევისათვის და დახურული სხდომების გაჭიანურებისა და ობსტრუქციის მიზნით ყოველგვარი საშუალების გამოყენებისათვის. მომავალში ხალხებმა კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური ამერიკელთა მოქმედებას მოლაპარაკებაში.

**პეკინი,** 27 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გამოგზავნილი დეპეშით იუწყება, რომ 25 ივლისს კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა წინადადება შეიტანა შეწყდეს 26 ივლისიდან დახურული სხდომები და განახლდეს სრული შემადგენლობის დელეგაციების ღია მოლაპარაკება. გენერალმა ნამ ირმა ეს წინადადება შეიტანა, რამდენადაც ამერიკელებმა დახურული სხდომების დროს დაარღვიეს თავიანთი პირობა —ეწარმოებინათ მოლაპარაკება და მთელი დღეების განმავლობაში უარს ამბობდნენ საკითხების განხილვაზე, რითაც უმიზნოს ხდიდნენ დახურულ სხდომებს.

რათა დაეჩქარებინა დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის შემუშავება, განაგრძობს კორესპონდენტი, ჩვენმა მხარემ აგრეთვე შეიტანა წინადადება, რომ ამასთან ერთად წარმოებდეს შტაბის ოფიცერთა სხდომები დაზავების შესახებ შეთანხმების ფორმულირების განხილვის მიზნით.

ამერიკელები დათანხმდნენ შეწყვეტილიყო დახურული სხდომები და განაცხადეს, რომ განიხილავენ წინადადებას შტაბის ოფიცრების სხდომების შესახებ.

26 ივლისს განახლდა სრული შემადგენლობის დელეგაციების ღია სხდომები, მაგრამ ამერიკელებმა, რომლებიც წინათ დაეთანხმნენ კორეა-ჩინეთის მხარის წინადადებას შტაბის ოფიცრების ღია სხდომების განგრძობის შესახებ, სრულიად უმიზეზოდ მოითხოვეს სრული შემადგენლობის დელეგაციების სხდომების 7 დღით შეწყვეტა.

კორეა-ჩინეთის მხარის მთავარმა დელეგატმა განმარტა, რომ სრული შემადგენლობის დელეგაციების ღია სხდომების განახლება არ იძლევა სხდომების ნორმალური წესის დარღვევის არავითარ საბაბს. მთელი მსოფლიოს ადამიანებს სწყურიათ კორეაში დროებითი ზავის რაც შეიძლება მალე დადება და ამიტომ ორივე მხარის დელეგაციებმა არ უნდა დაზოგონ ძალღონე იმისათვის, რომ კონსულტაციის საშუალებით გადაწყვიტონ საკითხები.

ჩვენი მხარე, განაცხადა მან, პროტესტს აცხადებს სხდომების შეწყვეტის წინადადების წინააღმდეგ და მოითხოვს გაგრძელდეს ხვალ პლენარული სხდომები.

უგულებელყო რა ჩვენი მხარის პროტესტი, ამერიკის მთავარი დელეგატი გენერალ-მაიორი ჰარისონი შუა სხდომის დროს გავიდა კონფერენციის დარბაზიდან.

ორივე მხარის შტაბის ოფიცრებმა პირველი სხდომა გამართეს მას შემდეგ, რაც შეწყდა პლენარული სხდომა.

## ამერიკელი კაციჭამიების მხეცობა

**კარაჩი,** 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „იმროზმა" გამოაქვეყნა თავისი ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „როგორც პუსანიდან ტოკიოში ამას წინათ ჩამოსული ამერიკელი კორესპონდენტები იტყობინებიან, ამერიკის სამხედრო ხელისუფლები კუნძულ კოჯედოზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით აწარმოებენ ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვეების შერჩევას, რათა გადაგზავნონ ისინი კუნძულ კოჯედოდან მარშალის კუნძულებზე წყნარ ოკეანეში, სადაც მათზე გამოცდიან სხვადასხვა სახის გამანადგურებელ იარაღს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკელები მათ წინააღმდეგ გამოიყენებენ სხვადასხვა იარაღს, რათა გამოარკვიონ ამ იარაღის ეფექტიანობა და მომავალ ომში მისი წარმატებით გამოყენება".

## გენერალი ვან ფლიტი ადასტურებს ფაქტს, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებენ კორეაში

**ვენა,** 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმემ" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია:

„როგორც ავსტრიაში ამას წინათ ჩამოსულმა ავსტრიის მაოკუპირებელი ამერიკელთა ჯარების შტაბის ოფიცრებმა განაცხადეს, კორეაში მოქმედი მე-8 არმიის სარდალს ვან ფლიტს ვაშინგტონში მოსთხოვეს ახსნა-განმარტება, თუ როგორ გაიგო ჩინეთის პრესამ, რომ ვან ფლიტმა დაადასტურა ფაქტი, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებენ ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთში.

ოფიცრების ცნობებით, ვან ფლიტმა განაცხადა: მე 2 მარტს მართლა მქონდა საუბარი ტოკიოში ბელგიის მისიის მეთაურ დე ლა შევალერისთან. საუბრის დროს მე დავადასტურე ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმია იყენებს მასობრივი მოსპობის იარაღს, მათ შორის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს.

მაგრამ ვან ფლიტმა აღნიშნა, რომ მისი განცხადება პირველი არ არის. ჯერ კიდევ მას განცხადებამდე რიჯუეიმ, გენერალმა ჰიკეიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა ტოკიოში უცხოელთა წარმომადგენლებთან პირადი ლაპარაკის დროს მოიხსენიეს და დაადასტურეს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტი.

იმ გარემოებას, რომ მისი განცხადება ჩინეთის პრესაში გამოქვეყნდა, ვან ფლიტი აბრალებს დე ლა შევალერის, რომელმაც არ შეასრულა თავისი დაპირება, რომ არ გადასცემდა ვან ფლიტის ცნობას ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ვან ფლიტის განცხადება შემოწმებულ იქნა ვაშინგტონში. შემოწმების შემდეგ იქ გადაწყვიტეს არ გამოექვეყნებინათ ამას თაობაზე რაიმე უარყოფა და მიეჩქმალათ ეს ფაქტი. მაგრამ ვან ფლიტს გაფრთხილება მისცეს კვლავ აღარ მოექცეს ასე წინდაუხედავად „მნიშვნელოვან საიდუმლო საქმეს". მას მოსთხოვეს, რომ მომავალში ზუსტად დაიცვას ინსტრუქცია, რომლის თანახმად ამერიკის ყველა ოფიციალურ პირს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხზე აკრძალული აქვს საუბარი ვისთანაც უნდა იყოს".

## სტივენსონი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატია დემოკრატიული პარტიისაგან

**ნიუ-იორკი,** 26 ივლისი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობამ კენჭისყრის მესამე ტურში პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა სტივენსონი.

მესამე ტურში სახელობითი კენჭისყრის დროს ჰარიმანმა პირველმა მოხსნა თავისი კანდიდატურა სტივენსონის სასარგებლოდ. მის მაგალითს მიბაძეს კეფოვერმა და რასელმა.

## ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე პრეზიდენტად სტივენსონის კანდიდატურის წამოყენების გამო

**ჩიკაგო,** 26 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობამ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად წამოაყენა ილინოისის შტატის გუბერნატორი ედლაი სტივენსონი.

სტივენსონი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მსხვილმა საქმიანმა წრეებმა შეარჩიეს დემოკრატიული პარტიის კანდიდატად.

ჯერ კიდევ მარტში პრესის იმ ორგანოებმა, რომლებიც ყველაზე სრულად ასახავენ უოლ-სტრიტის აზრს, დაიწყეს სტივენსონის რეკლამის კამპანია, რომელიც იმ დროს ნაკლებ იყო ცნობილი ილინოისის ფარგლებს გარეთ. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მარტში გამოაქვეყნა სტატიების სერია, რომლებშიც ლაპარაკი იყო სტივენსონის კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობაზე. პრესის სხვადასხვა ორგანოში დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები სტივენსონის ბიოგრაფიით.

დემოკრატიული პარტიის ბოსებმა (მესვეურებმა) და ფინანსურმა ჯგუფებმა სტივენსონი აირჩიეს მთელი რიგი მიზეზების გამო. უწინარეს ყოვლისა, მისი შეხედულებანი „ჯანსაღი" იყო იმათი თვალსაზრისით, ვინც ბატონობს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საგარეო პოლიტიკის საკითხებში სტივენსონი თავგამოდებული მომხრეა „ტოტალური დიპლომატიისა" ყველა მისი ახლანდელი გამოვლინებით. ამავე დროს იგი ტრუმენზე გაცილებით უფრო მარჯვნივ დგას საშინაო პოლიტიკის მეტ წილ საკითხებში, თუმცა იგი ახერხებს შეინარჩუნოს „ლიბერალის" რეპუტაცია.

სტივენსონის მთელი კარიერა სრულ საფუძველს აძლევს მმართველ წრეებს მიიჩნიონ იგი ეიზენჰაუერის მისაღებ შემცვლელად, თუ რესპუბლიკელები მარცხს განიცდიან ნოემბრის არჩევნებში.

## წყალდიდობა თურქეთში

**სტამბოლი,** 27 ივლისი. (საკდესი). როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, 23 და 24 ივლისს ცენტრალურ ანატოლიაში მოვიდა ძლიერი წვიმები, რის შედეგად მდინარე ყიზილ-ირმაკი ადიდდა და წყალით დაფარა 7 სოფელი. ქალაქ მერზიფონში წვიმის წყალმა წალეკა 30 სახლი. ქალაქ კიუტახიის რაიონში წვიმის წყალის ნიაღვრისაგან დაზარალდა რამდენიმე სოფელი. დანგრეულია ბევრი სახლი. წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა ნათესებს. დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 24 კაცი.

## კოსტა-რიკაში დააპატიმრეს მშვიდობისათვის მებრძოლი

**ნიუ-იორკი,** 27 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კოსტა-რიკის პოლიციამ დააპატიმრა ედუარდო მორა ვალვერდე, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიიდან დაბრუნდა. მას ბრალად ედება, რომ თან ჩამოიტანა ძირგამომთხრელი პროპაგანდის მასალები, რადგან მის ბარგში იყო დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ ბრალდებას, რომ შეერთებული შტატები ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებენ კორეაში.

## ქართველ სპეციალისტთა კადრები — კომუნიზმის მშენებლობებს

### სამთო ინჟინრები, ქიმიკოსები, მექანიკოსები

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წელს კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტებიდან 369 კაცმა ითხოვა კომუნიზმის დიად მშენებლობებზე და მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრებში სამუშაოდ გაგზავნა.

კურსდამთავრებულ ქართველ ახალგაზრდა სპეციალისტთა შორის არიან სამთო ინჟინრები — ფ. წულუკიძე, ი. თევზაძე, მ. მეფარიშვილი, ვ. ყურაშვილი, ქ. გობეჯიშვილი, რ. ცხაკაია, ი. ჯაფარიძე და სხვები. არიან აგრეთვე ინჟინერ-ტექნოლოგები—ზ. მარდალეიშვილი, გ. ნოზაძე, ჯ. გველესიანი, ლ. ელერდაშვილი, მშენებელი ინჟინრები—ა. მახათელაშვილი, ო. რუხაძე, ვ. კობერიძე, შ. შერაძე, მექანიკოსები — ი. გაბუნია, ო. ლევიძე, ვ. მეტრეველი, რ. ჩიტორელიძე, ო. კერვალიშვილი და სხვ.

### 153 ექიმი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ბევრმა ახალგაზრდა ექიმმა შეიტანა განცხადება კომუნიზმის დიად მშენებლობაზე და მოძმე რესპუბლიკებში სამუშაოდ წასვლის შესახებ. ახალგაზრდა ექიმმა ალექსანდრე ყიფშიძემ მიიღო საგზური თურქმენეთში სამუშაოდ წასასვლელად. მისი თანატოლი ნოდარ კეშელავა დაღისტანში მიემგზავრება. ექიმები — კონსტანტინე გეგელაშვილი, ნათელა კაზაროვა, ავთანდილ რაზმაძე, აკაკი ღლონტი, გივი დარჩია, ავთანდილ ურუშაძე სხვადასხვა მშენებლობებზე და სამრეწველო რაიონებში სამუშაოდ მიემგზავრებიან.

სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან ჯერჯერობით 153 ახალგაზრდა სპეციალისტი მიდის კომუნიზმის დიად მშენებლობებზე და მოკავშირე რესპუბლიკებში სამუშაოდ.

## ჟურნალი „სოციალისტური სოფელი" № 7

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაეგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროების ყოველთვიური მეცნიერულ-საწარმოო ჟურნალი „სოციალისტური სოფელი" № 7.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი:** მოწინავე — გავაუმჯობესოთ მხატვრული ფილმების გამოშვება.

რკინიგზელთა სტალინური დღის შესახვედრად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტსკოლის მსმენელთა გამოშვება.

**მეორე გვერდი:** ვ. ტატიშვილი — კომბაინერები. ა. კუმარიტოვი — ვაწარმოოთ ლეწვა მკასთან ერთად.

**მესამე გვერდი:** თინა დონჯაშვილი — დროშა კომბაინზე. ვ. ლაზარევი — სახელმწიფოს ბეღლებში.

**მეოთხე გვერდი:** უცხოეთის ინფორმაციები.

## ლექცია

**30 ივლისს, საღამოს 9 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის** რაიკომის პარტკაბინეტში შედგება დოცენტ ი. ტაბაღუას ლექცია თემაზე **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

**რედაქტორი გ. მერკვილაძე**

## საქართველოს რადიოინფორმაციის გადაცემათა პროგრამა

### 31 ივლისს

**რადიოსადგურით 1.571 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 06.25 — არუთინიანის კონცერტი საყვირისათვის; 07.40 — „პიონერთა დაფიონი"; 09.20 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი; 11.00 — ვალსები; 11.25 — ექიმის საუბარი „კუჭნაწლავის დაავადება და მის წინააღმდეგ ბრძოლა ზაფხულის პერიოდში"; 11.40 — კონცერტი დების იმხნელების შესრულებით; 17.15 — საბალეტო მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები; 18.15—კონცერტი-გამოცანა; 19.20 — დიმიტრი არაყიშვილის დუეტები; 19.45 — გადაცემა კოლმეურნე ახალგაზრდობისათვის—საუბარი: „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა".

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 20.30 — ვერდის ოპერა „რიგოლეტო". პირველ ანტრაქტში — საუბარი: „საბჭოთა ქალაქების მშენებლობის პრინციპი ადამიანზე ზრუნვაა". მეორე ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა; საუბარი — ლიტველი პოეტის ანტანას ვენცლოვას შესახებ; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, ისანი** (ზამთრის), **ამირანი** (ზამთრის)—„დაუპატიჟებელი სტუმრები", **ამირანი** (ზაფხულის) — „1952 წ. პირველი მაისი"; **დიდუბე** (ზაფხულის), **კოლმეურნე, კოლხიდა** (ზამთრის)—„გამოუცდელი ახალგაზრდები სტადიონზე"; **კოლხიდა** (ზაფხულის), **კიროვის პარკი** — „ავყიაობის სკოლა"; **ოფიცერთა სახლი**—„ცოცხალი ლეში".

მოქალაქე **ივანე ვლადიმერის-ძე ჯორჯაძემ,** მცხოვრებმა ინჟინრის ქ. № 7-ში, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 31-ში მცხოვრებ მოქალაქე **ჯულიეტა ქამალის ასულ ჯორჯაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ელენე მეგრელიძე, შვილი თენგიზ ჩიჩუა იუწყებიან **დომენტი თეიმურაზის-ძე ჩიჩუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VII, 8 ს. გამოსვენება 31-VII, 6 ს. 30 წ. საჯაიას ქ. № 2.

და ოლღა ბახტაძე-ბოკუჩავა, დისწული გიორგი, რძალი თამარ, შვილიშვილები დოდო, ლიანა, თენგიზ იუწყებიან **ვარლამ კონსტანტინეს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-VII, 5 ს. 30 წუთზე. ძერჟინსკის ქ. № 5.

შვილები ლადო და სანდრო, რძლები თამარ მათიაშვილი, მანია გოგიჩაშვილი, შვილიშვილები ირაკლი და ვანო იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ მათიკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VII ს. ყვარელში.

მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექცია, პარტორგანიზაცია და პედკოლექტივი იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **ვარლამ კონსტანტინეს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ მათიკაშვილის** გარდაცვალებას.

ძმები ნიკოლოზ, გრიგოლ, კონსტანტინე გაჩეჩილაძეები, და გალინა ამაღლობელი ოჯახებით იუწყებიან **მარიამ მაკარის ასულ გაჩეჩილაძე-არდიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-VII, 6 ს. ყვირილის ქუჩა, № 1.

ძმა ვასილ, რძალი ოლღა, საშა, ძმისწულები ნინო, ნადია, მიხეილ, ბიძაშვილები მარიამ, თამარ მაკალათიები ოჯახებით იუწყებიან **დომენტი თეიმურაზის-ძე ჩიჩუას** გარდაცვალებას.

მამა ვიქტორ, მამიდები სოფიო და ბარბალე, დები ნათელა და გუგული, მამიდაშვილი ქეთო, ბიძა აკაკი იუწყებიან **შურა ვიქტორის ასულ კუბლაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VII, 8 ს. გამოსვენება 31-VII, 6 ს. პეროვსკაიას, 8.

ძმა გიორგი, რძალი ეკატერინე, ძმისწული თამარ კანდელაკები იუწყებიან **ანასტასია ილარიონის ასულ მაღალაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VII, 8 ს. გამოსვენება 31-VII, 6 ს. ერისთავ-ხოშტარიას ქ. № 24.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3 51-81. სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. | უე 03649